

138
1914/2

ზღაღიას ანთოლოგიე



საქართველოს
საზოგადოებრივი
მუზეუმი

ნანაწარმო



1914

ს. შ. რ. ი. ლ. ი., № 4. მოზრდილთათვის.

დაკარგული

განც. V
გაზეთი
N^o 237.

წამიწარი მათი. * 1914 წ.



უჩმა იგხო.

3726

ივანოვი
საქართველოს
საბჭოთაო
საზღვაო

ნიშნა უგებდა ზამთარსა,
რომ სიშწართა კედებოდა.

ისმოდა მერცხალთ ქიკვიკი,
წყაროს ჩქრიალი საამო...
მინდორში—ურმის კოფოდან—
გლეხის „ოტპრუტა“—„მაამო!“

ზამთარმა თვალი დახუჭა,
სიკვდილს მიუძღვნა საღამო;
მზის სხივმა, ძლევა-მოსილმა,
მალლა ამართა ილაში.

„ვაშა, შენ, ვაშა, მზის სხივო!“
— გუგუნებს არე-მარეო,
„ბოროტმა უნდა მარადის
აფრქვიოს ცრემლი მწარეო!“

დ. ელიოზიშვილი.





პირველი ყვავილი.



კალათან არ დადექ, მეწერილმანესთან არ
მინდაო, ხელზე მოსამსახურედ არ გამოსდექ...
მაშ რა გინდა? უსაქობა? მუქთად პურის ჭამა?

დუღუნებდა ჩილინდარი ზაქარა და თან
გაცვეთილ ცოცხით შგვიდა პატარა ქობს, რომლის
სამკაულსაც შეადგენდა ერთი ხელი

ძველი ლოგინი, წყლის სურა, ლამპარი გაშავებული შუშით
და კედელზე ჩამოკიდებული კონკის-ძველა ტანსაცმელი.

„ეა... ვაია...“ ჩხოდა საბრალო ხმით ქობის კუთხიდან
ძონძებში გახვეული ბავშვი და ხელებს წინ იწევედა, თითქოს
ვილაკას ეხვეწებოდა, ვილაკას ემუდარებოდა...

ქობის კარებთან-კი ატუზული ათი წლის ლექსო ყურს
უგდებდა მამის ჯავრობას და თან ცალი თვალი მისკენ ეჭი-
რა, რომ ხელი არ წაეტანებინა მისთვის საცემრად.

მართლაც და სულ ორიოდ თვეა, რაც მას დედა გარდა-
ვცვალა და დარჩნენ მამის ამარა ის და მისი სამი წლის ძმა.

ამ ორი თვის განმავლობაში ბევრი რამ სცადა ლექსომ.



მამის ქიშნჯები, მკალავის და შეწვირღმანეს სიღვტებუხსელ: მ
ცივე, სიმშილი და ცრემლი... მხოლოდ ცრემლი მხოლოდ მხოლოდ

არც ზაქარა ჩავარდა უკეთეს მდგომარეობაში: მას აღარ
შეეძლო თავის დროზე სამუშაოდ გასვლა, პაწია, ობლად
დარჩენილ ბავშვის ვამო და დაკარგა სამუშაო. აერია ცხოვ-
რების გზა და კვალი, აღარ იცოდა—სახლისთვის მოეგლო,
თუ სახლ გარედ ეშოვნა ლუკმა პური.

—ღვთის რისხვა! ღვთის რისხვა! — შეჰყვირა გულ-მოსულ-
მა ზაქარამ და გადაუბრიალა თვალები ბავშვს, რომელიც
—ცოცვით მისკენ მიდიოდა.

— არა და, რომ არც მათხოვრობას კადრულობს, — დაუ-
ღრიალა ახლა ლექსოს ზაქარამ და წაატანა ხელი, რომ თა-
ვისებურად მიეტყვიპნა. მაგრამ ლექსომ დროზე უშველა
თავს და ელვის სისწრაფით გამოვარდა გარედ ქუჩაში.

მა მისი მისი... * * *

გაზაფხულის დილის შუე ჯერ მთის წვერვალს არ ამო-
სცილებოდა. ქალაქის ქუჩებზე მოძრაობა ჯერ არ გაცხოვე-
ლებულიყო. მხოლოდ აქა-იქ მეგზოვეები ამტვერებდნენ ცო-
ცხით ქუჩებს და ნოქრები ზანტად აღებდნენ ლუქნის დარა-
ბებს.

ლექსო ნელ-ნელა გაჰყვა ქუჩას, მაგრამ თვითონაც არ
იცოდა—საით, ან რისთვის. ერთი-კი მხოლოდ კარგად ახსოვ-
და მას: მამის მოღვრებული მუშტი და მისი გაელვარებული
თვალები.

ის თავჩაღუნული ერთი ქუჩიდან მეორეზე გადადიოდა,
მიდიოდა შეუჩერებლივ და თან-და-თან უახლოვდებოდა ქა-
ლაქის განაპირა უბანს. შესდგა მხოლოდ მაშინ, როდესაც
გავიდა მთლად ქალაქ გარედ, ამწვანებულ მინდორზე. ის



აქ თითქოს გამოირკვა, მიიხედ-მოიხედა თავის გარშემო და აღეშა რბილ, მწვანე ბალახზე.

ლექსოს თვალები ნელ-ნელა აჰყვნენ ამწვანებულ, აფერადებულ ქედებს; იმისმა გულმაც დაიწყო ღელვა ისე, როგორც ღელავდა მის გარშემო მწვანე ჯეჯილი: და პაწია ხელი წავიდა თეთრი ბილილისაკენ. მოწყვიტა ერთი, მოწყვიტა მეორე; მაგრამ მესამის და მეოთხის მოსაწყვეტად-კი ის უკვე ხტომით და ნაფარდით გადადიოდა ერთი კორდიდან მეორეზე.

დილის მზის ღიმილმა, ყვავილების ციმციმმა და ტორტოლების ტკბილმა გაღობამ მიავიწყებინეს ლექსოს ერთ წუთს დარდი, მიავიწყეს მამის მოღერებული მუშტი, პატარა ძმის ტირილი და თვისი ობლობა.

„რა ლამაზი ყოფილა ყვავილი!“ ფურჩულებდა ლექსო და ფრთხილად მიჰქონდა ერთი ყვავილი მეორესთან. მალე მისი მუკა გაავსო მშვენიერმა თაიგულმა და ლექსოც მოღლილ-მოქანცული კვლავ დაეშა მწვანე ჯეჯილზე.

სოტა არ იყოს მოშვიდა კიდევ. მამის მუქარამაც კვლავ ყურში ვასწიფლა. „შინ აღარ შემიშვებს და აღარც პური გვაქვს სახლში“ — გაიფიქრა ლექსომ. „იმასაც რომ ჰზინან, იმასაც, ჩემს პატარა ძამიკოს,“ — ფურჩულებდა ლექსო და დასცქეროდა მუკაში ყვავილების თაიგულს.

„გავყიდი! გავყიდი!“ დაიძახა უცებ ლექსომ და წამოიქრა ზეზე. „გავყიდი და ჩემს ძამიკოსაც ტკბილ პურს მიუ-





ტან“, — დაუმატა მან ფურჩულით და გაეშურა ქვედაქვეყნის
რომ გაზაფხულის ყვავილი გაეტანა ბაზარზე გასასყიდად.

მან ქედი საჩქაროდ ჩამოირბინა, გაიარა მინდორი და
მიუახლოვდა კიდევ ქალაქის განაპირა ქუჩას.

„გავყიდი... გავყიდი“. ფურჩულეზდა ლექსო, და ხელ-
ში გაწვდილ თაიგულს გასასყიდად ათამაშებდა.


„ნაუუ... ნაუუ“. დაიწკრილა ამ დროს ეკლესიის
ზარმა ჰაერში და მიუჭრა. ლექსო დაქრილი ნუკრივით შე-
კრთა მის ხმაზე. აქავე ახლოს სასაფლაეო იყო და აქ იყო
დამარხული მისი დედაც.

მას მთლად დააფიწყდა თვისი სიმშლი, ბაზარი, ქალაქი,
თვისი პაწია ძამიკო. ის უკვე სასაფლაოზე იყო და ეძებდა
დედის საფლავს. და როდესაც მიატანა ახალ საფლავს, სადაც
ესვენა მისი დედა, ის დაეშვა მიწაზე, დაასვენა საფლავის
გულზე თაიგული და დაუწყო კოცნა სასაფლაოს.

„ყვავილი მოგიტანე, დედა, გაზაფხულის პირველი ყვა-
ვილი!“ მოისმოდა მდუმარე საფლავთა შორის ლექსოს
ქვითინი.

ი. ევლოშვილი.





ნათელა.

VIII



ათელას დედა დამარბეს
 ვაებითა და ვიშითა;
 მეფე სწუხს, ახლა თვის ასულს
 არ უშვებს კარზე შიშითა.

ესლაა მისი ნუგეში,
 გამრთელგებელი წყლულისა,
 აღმდგენი, გამხნევებელი
 მისი ტანჯული სულისა.
 მისი მორჩილი ნათელაც
 შეიქნა მშვიდი, წყნარია,
 როგორც მინდორზე გასული
 ობლად შთენილი ცხვარია.
 ერთია მისი გართობა:
 საფლავთან დადის კრძალვითა,
 ყვავილებსა ჰრგავს, უხვად რწყავს
 ცრემლთ აიაზმის ნამისა.
 ააყვავილა ზამბახი,

შალილა, სუსამბარია,
 ია და ვარდმა აავსო
 სუნნელით მთა და ბარია.
 ისამანიც დლითი-დღე
 შშილიდა გაფურჩქენილ ტოტებსა,
 რომ სუნნელ ჩრდილ ქვეშ სიმშვიდე
 ეგრძნო ნათელას მშობელსა.

IX

დრო მიფრინავდა. ყოველი
 მიეცა დავიწყებასა.
 მეფეც გულს იცვლის და მოჭგვრის
 ნათელას ახალ დედასა.
 მისგან ეყოლა წლის უკან
 ტყუბი: ორივე ქალია.
 ორნიც ზრდისთანვე შეიქმნენ
 ნათელას შურით მთვრალია.
 „ეს ვინღა არის, მოახლედ
 ნეტავ ვინ მოგვიჩინაო,
 აიღეთ, კარში გააგდეთ,
 ორნიც ვეყოფით შინაო.“
 დედინაცვალიც აპყვა მათ:
 „მართლაც, ვინ მოათრიაო?
 ვიღაც მოთრეულს აგრემცა
 თვალები გამოსთხრიაო!“
 მალე თვით მეფეც გულს იცვლის,
 ნათელა რჩება ობლიადა,



ბედი უწყრება საბრალოს,
 მამას ველარ სცნობს შშობლადა
 ჯამ-ჭურჭელს არეცხინებენ,
 როგორც უბრალო გოგოსა.
 სახლს, ეზოს აგვევინებენ,
 ჰკიდებენ ნაგვის გოდორსა.
 მაგრამ ნათელა ერთხელაც
 არ ჰყვედრის დებს თუ მამასა,
 კრძალვით ეპყრობა, სალაშს სძღვნის
 თვით პირქუშ დედინაცვალსა.

X

ასე მიჰქროდა ტანჯვის დღეთ
 ნათელას შწარე ნალველი.
 ტოლს ვერ ჰპოვებდა, რომ მისთვის
 ეთქვა თვის გულის ნაღები.
 ხმას მხოლოდ მაშინ იღებდა,
 რომ თავს ჰხედავდა მარტოდა.
 მირბოდა ამ დროს საფლაფთან
 და ცრემლით მიწას ალბობდა:
 „აბა სადა ხარ, დედილო,
 ხმა გამეც. მაიმედო,
 შენ შემოგველე, არ გჯერა,
 რომ სულ მთლად გამიშეტო.
 ვიცი, გიყვარდა ნათელა,
 და გეყვარება მარადო,
 მაშ ერთი წუთით მოჰხედე—



ექმენ ნუგეზის ფარადო! "
 და მართლაც: მიღე აჩრდილი
 გამოჩნდებოდა დედისა,
 ანგელოზისა შზგავსებას
 ესხა შზრებს ფრთები გედისა.
 გულში იკრავდა ნათელას
 თეთრ-თოვლა ქალწულ ფრთებიოთა.
 და თანაც გაამაგრებდა
 უცნაურ ციურ ხმებიოთა:
 *იყუჩე, შვილო, იყუჩე,
 შენია გამარჯვებოთ,
 დედა გვერდით გყავს, ეგ ტანჯვა
 ლხინის დღეთ შეგეცვლებოთ."
 ეტყოდა თუ არ, უმაღვე
 უბრუნდებოდა საფლავსა,
 და ნათელასაც ადგამდა
 თავზე ნუგეზის კარავსა.

XI

ამ დროს ქვეყნად დაჰკრეს ბუკი:
 ყველას გესმათ, პაწა-დიდსო,
 ვინმე აღმოსავლეთელი
 მეფეთ-მეფე ლხინს იხდისო.
 თვის ძეს ახლა ტახტს აბარებს,
 მის საცოლეს დაეძებსო,
 ამიტომაც ყველას იწვევს



განურჩევლად თავად-გლეხსო.
 მეჯლისის დროს თვით შემკვიდრე
 სტუმარ-ასულთ დასინჯავსო,
 ვისაც იმ დროს მოიწონებს,
 თვის საბედოდ დანიშნავსო.
 რა თქმა უნდა, მალე მეფე
 ჯვარს ორთავეს ვადასწერსო,
 ტახტს უკუროთებს, შემდეგ მშვიდად
 მონასტრისკენ თვით გასწევსო.“

XII

ნათელას დები ცას შესწვდნენ
 ამ ამბის გაგონებაზე,
 როგორც პაწია წითელი
 კოკების გაგორებაზე.
 რაც-კი რამ ჰქონდათ ძვირფასი—
 ჩამოიჩონჩხლეს ყელზედა,
 ფერ-უმარილი წაისვეს
 მტკაველად ლოყა-ყბებზედა.
 პრანქვა-გრეხითა სარკის წინ
 ათასად იწნელებიან,
 წელს ისალტავენ, თითქმის რომ
 თევზსავით იწნელებიან,
 შეგრამ არ იქმნა, განგებამ
 დასტოვა ორნივე გონჯადა,
 მათ ტლანქ სახესა სინაზე
 არ წამოეცხო გოჯადა.



მეჯინიბესა მოუხმეს, ცხენები შეგვიკაზვეო, ას-ასი კაცი თან გვახლდეს სასიძო მეფის კარზეო სულ დააიწყდათ ნათელა, მიაგდეს ბნელა კუთხეში. როცა შესჩივლა: „მეც მოვალ“... მოსცხეს საბრალოს კუნთებში. დედინაცვალმა შესძახა: „ეს რაღა მომინდომაო! თითქოს საკმაო არ იყოს მაგის ჩვენ სახლში ჯდომაო.“ და აცრემლებულ ნათელას წინ გადუყარეს ფეტვია: „ვაი შენ, — უთხრეს; თუ რომ ეს სულ მთლად არ აგიკრეფია. ახლა-კი კმარა, ჩვენ შენთვის აღარ გვცალია შეტადო; ვეჩქარით, შენ-კი ამ ფეტვსა მოუდექ მკენკავ მტრედათო!“

XIII

ბედის მორჩილმა ნათელამ დებს გააყოლა თვალია. რაწამს მოშორდნენ, წამოდგა, გააღო ბოლო კარია. კვლავ გაიპარა საფლავთან



მწველი ცრემლების ფრქვევითა, მან არა მან
 მოსთქვამდა უბედობასა კანასიონელისა
 ხუკუბა თმების გლეჯითა, ვინაჲს მათონ
 მაგრამ შეეხედოთ—აირდილი უფო კეფისაგ
 გამოეცხადა დედისა: „ნუ სტირი,-- შეილო, --უთხრა მან:--
 ნუ ხარ მწვეველი ბედისა. მათონ რეცა
 აბა წალკოტში რომ ჰყვავის ამტანე მისი
 ჰროწულ-ფორთოხალიო, რეცა მათონ
 მოსწყვიტე, თვითო ნაყოფი რეცა მათონ
 არს შენი ბედის ხმალიო! რეცა მათონ
 დანარჩენს თვითვე იშოვნე, რეცა მათონ
 გაიგნებ გზა და კვალსაო, რეცა მათონ
 აგიხდეს ყველა სურვილი, რეცა მათონ
 ჰპოვებდე ნატურის თვალსაო!“
 ვერც-კი მოასწრო ნათელამ რეცა მათონ
 რამე ეკითხნა დედისთვის, რეცა მათონ
 ან მოჰხვეოდა ვულ-მკერდზე, რეცა მათონ
 ეკოცნა მისი ფრთებისთვის, რეცა მათონ
 რომ კიდევ გაჰქრა აირდილი, რეცა მათონ
 არც-კი დასტოვა კვალია, რეცა მათონ
 მის ადგილს ქარმა გაჰფანტა რეცა მათონ
 თითქოს რაღაცა კვამლია. რეცა მათონ

XIV

დიდხანს ჰფიქრობდა ნათელა, რეცა მათონ
 სად გაჰყოლოდა ამ ხმასა, რეცა მათონ



ჯვარი, ჯვარი.



ველაფერი დაამზადა ნინომ. უამფურზე აგებულ წითლად შებრაწულ გოქს გვერდს უმშვენებს ახალი ვარიები. შემწვარი ინდაური წელან დასკრა და ინდაურის წვენში ჩასა-ცევა; დიდ რგვალ კეციდან ააგორა უშველებელი ხაქაპური; ხაქაპურს ორთქლი ასდის: ახალი ყველი სდულს შიგ და შიშინებს. წითელი კვერცხით საფეკ კალათი სკივრის თავზე შემოდგა; ყველაფერს მორჩა, თავის ბინაზე მიალაგ-მოალოაგა. მიინც დაფუსფუსებს კუთხიდან კერასთან, კერიდან კუთხეში, ყველაფერს ათვალთიერებს, სინჯავს, არა რა დარჩეს გაუკეთებელი. კერის ახლოს, სამფეხა სკამზე, წელში მოხრილი მოხუცი დედამთილი ზის. დრო-გამოშვებით წნელს აუქნევს მოზრდილ წიწილებს, რომლებიც ცეცხლის პირად იკენკებიან, ნამცეცებს ეძებენ, შავ მურიას



აჯავრებენ; თან თვალს ადევნებს რძლის ფუსფუსს და შიშველებას.

— ჯერ ახალგაზდაა, ხარობს, შეჭარბის შეილებს, მომავალ ცხოვრებას. მე რაღას უყურებ, მე საცოდავი? ჩემთვის რა მოაქვს ახალ დღეებს, ახალ თვეებს? ეჰ, უბედურო თავო ყემო! დრო იყო, შენც მასავით ხარობდი, ჩიტი გიფრინავდა გულში; ეს დრო უსაზღვრო სიხარულს მფენდა: ჩემ პირველ შეილს, ჩემ პირველ მოსწრებას, ჩემ პეტრიას ყოველ ამ დროს მოველოდი ქალაქიდან: მომივიდოდა დახურჯინებული, — ვინ იცის რა მოჰქონდა მამისთვის, დედისთვის, დებისთვის. ეეე—ჰეეე! გადაბრუნდა საწყალი მამა მისი და მოკვდა. კინალამ გადავირიე. მეზობლებმა მანუგეშეს — შეილი გყავსო. გაემაგრდი, გულს არ ვიტებდი. ქალიშვილი მომიკვდა გათხოვილი. კინალამ თავი არ მოვიკლი. — ღმერთს ნუ სცოდავ: შეილი გყავსო, — მომამძახეს მეზობლებმა. გულს არ ვიტებდი. გადამიბრუნდა და გაუთხოვარი ქალიშვილი მომიკვდა. დამევსო თვალები. ენას კბილი დაეაჭირე. ჩემი ცრემლი ღმერთსაც კი დაუძალე: არ მიწყინოს — არ გამიჯავრდეს თქო. ბიქს გულს უკეთებდი, ოჯახს ვამაგრებდი; დავაცოლშვილე; ჩემი ხელით ამოურჩიე საცოლე; გაუზნდა მარგალიტივით შეილები და... დამევსო თვალები... დავკარგე ჩემი თვალის ჩინი, ჩემი გულის იმედი, ჩემი შეილი. მე უბედურ დღეს გაჩენილი, კიდევ ცოცხალი ვარ: მიდგას სული, ვითენებ ხვალინდელ დღეს, შეეხარო მზეს და ქვეყანას; მე ვიყავი სასიკვდილო, ვაი ჩემ დღეს, — ამოიკვნესა და ჩაიკრა გულში ხელი მოხუცმა.

— რა იყო, დედა? — მოუბრუნდა რძალი ტკბილი კილოთი.

— ნუ იცემ გულში, შე საწყალო, ნუ! შენ გგონია — მე მახარებს რამე? ბარემ — კი მერჩია გავძლოლოდი წინ შენ შეილს, მაგრამ რა ვქნა, რომ ეს მძიმე უღელი დამაწერა ღმერთმა. რა ვქნა: ბავშვებს, ახალგაზრდებს უღოს ვერ გაუ-



ან რა შეეძლო ფორთოხალს,
ბროწეულისა მარცვალსა.

მარცხენული
მარცხენული

ბოლოს წამოდგა. საცდელად
გასწევს წალკოტის უბეში,
ისე ჰგრძნობს, თითქოს ყოველი
ჰკოცნის მას ტურთა ტურებში.

აგერ ფორთოხალს მიადგა,
თან წაატანა ხელია.

მოსწყვიტა. ქერქი გადასკდა—
აფრინდა წყვილი მტრედია.

ორთავემ ფრთები ცას გაჰკრეს,
გაჰკრენ, ვერ ჰხედავს თვალია.

ჩვენ განცვიფრებულ ნათელას
ერევა გზა და კვალია.

მაგრამ შეეხედოთ.— დაბრუნდნენ,
მოაქვთ და მოაქვთ კაბები,

თეთრი ატლასის სარტყელი,
ქინძისთავ-თასაკრავები.

სამაჯურ—სამკლაურები,
ქოში თვალ-მარგალიტისა,

ლალის საყურე, ვით მარწყვი
სამოთხის ველის კვირტისა.

მათ მოჰყვებიან გუნდ-გუნდად
ფრთა-ჭრელი მათი ტოლები,

კეკლუცად რთავენ ნათელას
ხასხას ქათიბა გნოლები.

მოდინ თეთრი არწივნი,
მფრინავი წყვილი რაშია.

კობტა რჭიანი ირემი,
 ლალად ნაზარდი მთაშია;
 ნაფცქვენს ეტლადა გარდაჰქმნენ,
 მორთავენ ია-ვერდითა,
 ზედ საჩრდილოებელ ჩარდახსა
 მოჰქსოვენ ქსელის ბადითა.
 მზემ ნაზად კალთა გაშალა,
 გაისმა ტკბილი სიცილი,
 საამო სურათს გვიშლიდა
 თვით ჰია-ლუის სირბილი.

იპსენჯე იპსენჯე დ. კასრაძე.

(შემდეგი იქნება.)





ჯვარი, ჯვარი.



ველაფერი დაამზადა ნინომ. შამფურზე აგებულ წითლად შებრაწულ გოქს გვერდს უშვვენებს ახალი ვარიები. შემწვარი ინდაური წელან დასკრა და ინდაურის წვენში ჩაასაკივა; დიდ რგვალ კეციდან ააგორა უშველებელი ხაჭაპური; ხაჭაპურს ორთქლი ასდის; ახალი ყველი სდულს შიგ და უიშინებს. წითელი კვერცხით საესე კალათი სკივრის თავზე შემოდგა; ყველაფერს შორჩა, თავის ბინაზე მიალაგ-მოალაგა. მაინც დაფუსფუსებს კუთხიდან კერასთან, კერიდან კუთხეში, ყველაფერს ათვალღერებს, სინჯავს, არა რა დარჩეს გაუკეთებელი. კერის აბლოს, სამფეხა სკამზე, წელში მოხრილი მოხუცი დედამთილი ზის. დრო-გამოშვებით წნელს აუქნევს მოზრდილ წიწილებს, რომლებიც ცეცხლის პირად იკენ კეზიან, ნამცეცებს ეძებენ, შავ მურთას

აჯავრებენ; თან თვალს ადევნებს რძლის ფუსფუსსა და მის ქმედებას.

— ჯერ ახალგაზდაა, ხარობს, შეჭხარის შვილებს, მომავალ ცხოვრებას. მე რაღას უყურებ, მე საცოდავი? ჩემთვის რა მოაქვს ახალ დღეებს, ახალ თვეებს? ეჰ, უბედურო თავო ყემო! დრო იყო, უნც მასავით ხარობდი, ჩიტი ვიფრინავდა გულში; ეს დრო უსახლერო სიხარულს მფენდა: ჩემ პირველ შვილს, ჩემ პირველ მოსწრებას, ჩემ პეტრიას ყოველ ამ დროს მოველოდი ქალაქიდან: მომივიდოდა დახურჯინებული, — ვინ იცის რა მოჰქონდა მამისთვის, დედისთვის, დებისთვის. ევე—ჰევე! გადაბრუნდა საწყალი მამა მისი და მოკვდა. კინალამ გადავირიე. მეზობლებმა მანუგეშეს — შვილი გყავსო. გავმაგრდი, გულს არ ვიტყებდი. ქალიშვილი მომიკვდა გათხოვილი: კინალამ თავი არ მოვიკლი. — ლმერთს ნუ სცოდავ: შვილი გყავსო, — მომძახეს მეზობლებმა. გულს არ ვიტყებდი. გადამიბრუნდა და გაუთხოვარი ქალიშვილი მომიკვდა. დამევსო თვალები. ენას კბილი დაეაჭირე. ჩემი ცრემლი ლმერთსაც კი დაუმაღე: არ მიწყინოს — არ გაშიჯავრდეს თქო. ბიჭს გულს უკეთებდი, ოჯახს ვამაგრებდი; დავაცოლშვილე, ჩემი ხელით ამოურჩიე საცოლე; გაუჩნდა მარგალიტივით შვილები და... დამევსო თვალები... დავკარგე ჩემი თვალის ჩინი, ჩემი გულის იმედი, ჩემი შვილი. მე უბედურ დღეს გაჩენილი, კიდევ ცოცხალი ვარ: მიდგას სული, ვითენებ ხვალინდელ დღეს, შევხარი მზეს და ჭკვყანას; მე ვიყავი სასიკვდილო, ვაი ჩემ დღეს, — ამოიკვნესა და ჩაიკრა გულში ხელი მოხუცმა.

— რა იყო, დედა? — მოუბრუნდა რძალი ტკბილი კილოთი.

— ნუ იცემ გულში, შე საწყალო, ნუ! შენ გგონია — მე მახარებს რამე? ბარემ-კი მერჩია გავძლოლოდი წინ შენ შვილს, მაგრამ რა ვქნა, რომ ეს შვილი უღელი დამაწერა ლმერთმა. რა ვქნა: ბავშვებს, ახალი... უღლის ვერ გაუ-



ტყე. კბილი უნდა გავაცინო, რომ არ ჩაეაშხამო ვეფხვეს...
წუთი-სოფელი.

— ნუ, შეილო! ნუ, ნუ შესცოდავ ღმერთს. მე აგერ ისე... რაღაც მომავონდა, თორემ... არა... შეილო... არა... ახაროს ღმერთმა!.. სხვისი სიკვდილი ვის წაუღია.

გაჩუმდა მოხუცი და ღია კარიდან თვალი ჰიშკარს მიაშტერა. უკვე ღამდება. სოფლის ხმაურობაც მისწყდა. მეორე ოთახში გოგოებმაც ხმა ჩაიკმიდეს: ჩუმიდ საქმობენ.

— აგერ-აგერ დაღამდება, ჩემო რძალო, და ის ბაღანა რომ აღარ ჩანს, ცოტა არ იყოს მეშინია.

ნინოც შედგა, გაიხედა ჰიშკარისკენ.

— რატომ დაიგვიანა: იმ შერცხვენილმა ბიძამისთან თუ გამოიარა.

— ჰო, რა ვიცი! თუ დარჩა ბიძამისთან — კაია, მაგრამ ვაი თუ წამოვიდეს და ღამემ უსწროს.

— რა ვიცი, რა ვიცი...— გაასაყსავე ნინომ ხელეები გულ-შეწუხებულად.— რომ ატყდებით ჭ თქვენი უნდა გაიყვანოს! კარგია ახლა, რომ აღარ სჩანს ბაღანა?— შეალო ოთახის კარი.

მაშოს ჭ ღიზას კაპწიად მოურთავთ. იქაურობა, მიწურ-იატაკიან, დაბალ-კედლიან ოთახს რაც ეხერხება: ტახტი ძველის ფარდავით, თავში ლოვინ-მიკეცილი, რგვალი მაგიდა, ერთიკ უზარ-მაზარი მაგიდა, ძველი დიდი შკაფი, საწიგნე წიგნებით, პირ-მომტვრეული ბუხარი, დიდი ლამპარი და ერთიკ დიდი კედლის ბინდ-გადაკრული სარკე, რომელშიაც კაცი თავის სახეს ვერ გაარჩევს,— აი მთელი სამკაული, მთელი მოწყობილება. ამ ვებერთელა სარკის წინ იჯდა მაშო; უმკროსი ჭ ღიზა თმას უწნავდა.— დედის სიტყვებზე ორივე წამოხტნენ ადგილიდან.

— როგორ, დედა?

— როგორ, და აღარ სჩანს ბავშვი. დღე და ღამე

გაიყარა. თუ მოდის ახლა, საბუიის ტყეში არ გავდივარ?
 ბავშვი?

— რაღა ვქნათ ახლა?— შეეკითხნენ ერთმანეთს შეშინებული დები.

— წავიდეთ, შევეგებოთ გზაზე!— დაიძახა ლიზამ.

— წავიდეთ, შენც წამოდი, დედა,— დასძინა მაშომ.

— სულელებო, შუა ღამეში რომელი ქალები დადიან მარტო. ბიძა მისთან თუ დარჩა,— ან უგეშა დედამ ქალები.

— უთუოდ, უთუოდ, თორემ ამდენ ხანს იქ მისვლას მოუნდებოდა?

— ალბად დილამდის აღარ მოვა.

— რანაირად უნდოდა წირვაზე წამოსვლა.

— რომ რამეს დაიჩინებთ, აღარაა საშველი!— წაილაპარაკა უკმაყოფილოდ ბებიამ; ცანცალით მივიდა ტახტთან და ჩამოჯდა.

— ჩვენ რომ გვაბრალებთ, თქვენც ხომ ამბობდით, ქრისტიანი კაცისას პასკა როგორ არ უნდა იყოს ხელინდელ დღესო,— იმართლა თავი მაშომ,

— თქვენც-კი დაუმოწმეთ წასვლა, პო, თქვენც,— უმატებს ლიზა და ამ ღაპარაკში, მზადებაში, თმების დაშლადან და მორთვა-მოკაზმაში საკმაო დრო გავიდა. ნინომაც ჩაიცივა სუფთა შავი კაბა, შავი საქვრივო ბალდადი ყუთიდან ამოიღო, გულ-მოდგინედ გაკეცა სამ-ყურად და დაიხურა; ისევ დაათვალიერა ყველაფერი, კატამ არა გააფუქოს რაო. საღამოს ბამბის გულზე ჩამოქნილი თაფლის სანთლები აიღო ხელში.

— ბატონო, კარები მაგრად ჩაკეტე და დაწვევი; რომ წავალთ, სანთელი დააქრე— ცეცხლი არ გავვიჩნდეს,— უთხრა გაუხდელად მიწოლილ დედამთილს და გავიდა სახლიდან. მებობლებმაც ჩამოუარეს: ხმა მოსცეს.

კოტათი ციოდა, მაგრამ სიამოვნებასაც გრძნობდა კაცი

ამ გაზაფხულის სიგრილეში. წიფელ-ყვითლად მოსილი სოფლის მცხოვრებნი მზიარულად მიეშურებოდნენ წირვაზე.

II

სწორედ ამ დროს პატარა თორმეტი წლის გიორგი, ნინოს ვაჟი ღ თვალის ჩინი, გაქანებული მოდიოდა სახლისკენ. მართლაც ადრე იყო, როცა გაგზავნეს: შეეძლო მისუღიყო მახლობელ დაბაში, ეყიდა რაც დააბარეს და ისევ სინათლით დაბრუნებულიყო, მაგრამ გზად ბიძასთან, დედის ძმასთან, შეიარა; იქ ძალუას სიტყვა უთხრა, აქ ბიძის შეილებს გაეთამაშა; ცხვარი, გოჭი, მათი თავ-მოვარაყებული პასკა—ყველაფერი მოათვალეო; კვერცხებიც-კი არ დასტოვა კბილზე გაუსინჯავი და გახტა კარებში. ბიძამ შიამხა; „შინ აღარ დაბრუნდე—დაგიღამდება, ბიძია; ამაღამ აქ დარჩი და დილით ადრე წადიო.“

მაგრამ გიორგი ყოჩალი ბიჭია:—აბა რაღა მიქნაა, ამაღამ თუ აქ მშიშარასავით ჩაეცუკქდე და დილას ნაქურდულ ძაღლივით მივიპარე სახლშიო: გზაში კიდევ წირვიდან დაბრუნებული ბიჭები შემზვდნენ და სიცილი დამაყარონ?—რაღა გიორგა ვყოფილვარ და რაღა ოჯახის კაცი?—გაიფიქრა გულში, და, როცა პასკა იყიდა, მეორე გზით გასწია თავის სოფლისკენ.

ბიძამისის სოფელი რომ დასტოვა, ბინდმა დაჰკრა. ნადივარას ცალ-კოკიან *) ხილზე რომ შედგა, ღამისაგან კაცი აღარ გაირჩეოდა. წყლის ნაპირას ბორცვზე მჯდომი ბაყაყი კაცის ფეხის ხმამ დააფრთხო: ისკუპა და ჩახტა წყალში. გიორგის გულმა დაურეკა.

*) ერთ ხეს გასდებენ წყალზე ხილად.



— ფუი ეშმაქს!—გადააფურთხა. ჩქარა მიხედვით დაუფრთხო ვაეკაცობა და ცოტათი შერცხვა; ქული კვეთს მოიგდო და ღიღინით უმატა სიარულს; ეს ღიღინი-კი შემკრთალ გულიდან გამოისმოდა.

სატურიის მინდვრებს რომ გაუსწორდა, ლაპარაკი შემოესმა. გზის პირად ერთი განმარტოებული მოსახლეა. სახლიდან სინათლე მოსჩანს. გიორგი ლობისკენ გადადგა. ლაპარაკი ისევ მოისმის: ვილაკეები მოდიან.

— ვინ ხართ!— შეუძახა.

კაცები მიდიან თავის გზაზე, მხარზე ხურჯინ-წამოგდებულინი. გიორგის შეძახილი არ გაუგონიათ. გიორგიც მიდის გაქანებული. ორი პატარა პასკა მაგრად აქვს ჩაბლუჯული. თავის უნებურად სულ მარცხნივ მიაქვს თვალები. სიბნელეში ვილაც თეთრად დგას. გული უტოკავს.

მიდის მაინც შეუჭრებლივ. ის რაღაც თეთრია, სულ წინ უსწრებს.

— ვიცი: გზის პირზე დიდი რუხილა რომ დგას—ის არის, —იმედს აძლევს თავს. გზას კარგა იცნობს—არ აერევა: თვალ-დახუჭულსაც შეუძლია გაიაროს. ტყეს მიუახლოვდა.

— აქ-კი—ღმერთო შემიწყალე! გზას აქეთ-იქით ცხილნარი მისდევს: ტიტველ-ტიტველი ხეები თეთრად გამოიყურებიან; ცეკვა-ხტუნვით მისდევენ გიორგის ფეხ-და-ფეხ. საურმე ბოგირსაც მიუახლოვდა. აქ ხომ წყალიც ჩამოდის; შერე მუხნარი იწყება. აქ ხომ ქაჯი სკოდნია უწინ, ბაბუა ჩემს თედორეს რომ შემოაუხტა თურმე ურემზე. ბაბუა უქნევს წალდს აქეთ-იქით,—ვერ იცილებს, კვეს-აბედი რომ დააკვესა, ქაჯი გადახტა ურმიდან. პირჯვარი რომ გამოისახა ბაბუამ თურმე; ქაჯმა იკივლა და თავდაყირა ჩავარდა წყალში. დასწყევლოს ღმერთმა: ისე პატარა წყალია—ქაჯს რა უნდოდა შიგ?—გასცილდა ბოგირს; შევებით ამოისუნთქა.

— სად მივა... სად მივა!—დაიძახა რაღაცამ ძლიან წმინდა



ხმით. ბავშვი შეერთა: კბილი კბილს მოხვდა; გულს მძვინკვენი
რად აღის და დაღის.

— სად მივა, სად მივა!.. — კვისკვისებს — კვის... — კვის... —
კვის... — კიდევ დაიძახა და კასკასით გადახტა ხიდან ხეზე. ჩი-
ტის ხმას უფრო მიიგავს, ვიდრე სხვას.

— დასწყევლოს ღმერთმა; ნამდვილად რომ ჩიტია! — გულს
მაინც ვერ აჯერებს.

— ფუი ეშმაკს, ფუი ეშმაკს! ჩემთანაა ქრისტე ღმერთი,
ჩემთანაა ქრისტე ღმერთი! — ბუტბუტებს და გამაღვებით ისა-
ხავს პირჯვარს.

გათავდა ტყე, უკან დასტოვა. კოტაც კიდევ აივლის
და სოფელშიაც შევა. პატარა სასოფლო მინდვრის დასაწყის-
ში შავად გამოკიმულა ვეებერთელა გოლიათი; ფეხები შო-
რი-შორ გაუღვამს, მკლავები გაუშლია, კისერიც განზე გა-
დაუგდია და ელმიჭება გიორგის.

აქ-კი უმტყუნა ვაჟკაცობამ. ტანზე თითქოს ცივი წყა-
ლი გადაასხეს; მწვავე ჟრუანტელმა დაურბინა. სრულიად
ეუფლება შიში და ბიჭიკაც დაიღუპება. მაგრამ გიორგი
ქვეიანია: ბებიას გაწრთენილ-გაზრდილი. მისმა სიმამაცემ აქაც
დაიხსნა... ქალაქში გახვეულ პასკის ჯვარს წაავლო ხელი,
მოჰგლიჯა, ამართა მალლა და ვაჟკაცურის ხმით შესძახა:
„ჯვარი — ჯვარი — ჯვარი!“ ღ იერიშით მივიდა გოლიათზე. თი-
თქოს პატარა შაქრის ჯვარით უნდა დაემხო ბოროტი სუ-
ლი. ლამის სიბნელე გადაეყარა ცას ღ კოტათ შეტრედისფე-
რებულიყო; დედამიწასაც ბინდ-ბუნდში ხვევდა. გიორგიმ ნა-
თლად გაარჩია თელის მალალი ჩირგვი, ეკალ — შემოხვე-
ული.

— გმადლობ, უფალო! — მოიწმინდა ოფლი და კიდევ
შევიდა სოფელში. ახლა უკვე ესმოდა გახშირებული ზარების



რეკა. ქუდ-მოგლეჯილი მიიკრა სახლში; მძინარე ქვემოთ და
 აფრთხო; ამბავიც-კი არ უთქვამს ბებიასთვის; სახვაროდ გა-
 მოიცვალა ხალათი და წულეები, ქუდი, ქამარი, პირი ჰაი-ჰა-
 რად ჩამოიწკუმპლა, სამიოდე კვერცი იკრა ჯიბეში და გაპ-
 კურცხლა ლიტანიასზე.

მარიამ გარიყული.



იოსებ ქიქოძე

(სამომ—ძულას მინამიტი, აღი მღვდელ)

...
 ...
 ...
 ...





სკოლის ზარი.

(უძღენი მიხა ქიქინაძის ასულს—ნონას.)



დექ, ადექ, პატარაო,
გამოტეხიზლდი, კმარა ძილი;
მზემ ქვეყანას შემოსცინა
და გაჰფანტა ლამის ჩრდილიო...

ღამე არის უმეტრებაც,
 ბნელი არის მისთვის დღეცა;
 უმეტრისთვის ვაგლაზია
 ქვეყნად ყოფნა—სიცოცხლეცა!..

აღექ, აღექ! დედამიწას
 ბნელთან კმუნვაც ვაეცალა
 და ბუნებამ ჩვენ სალხენად
 სასიცოცხლო ფრთა გაშალა;
 ახმატკბილდნენ ჩიტუნები,
 შაის ნაკადმაც ხმა შესცვალა,—
 აღექ და შენც მომავლისთვის
 ავარჯიშე ნორჩი ძალა!..

გამოფხიზლდი,— გაახილე
 მკვეთრი თვალი გონებისა
 და ისწავლე შენც შეგნება
 ქვეყნის უკვდავ შეგნებისა.

აღექ, ყრმაო! უმეტრების
 ბნელში ფუქად ძილი კმარა!—
 უკვე ვიხმობს ცოდნისა და
 სინათლისკენ სკოლის ხარა!..

ილ. გოგია.





ეროვნული
ბიბლიოთეკა

ენძელა.

როს მზემ სხივი სტუორცნა მთასა
და გააღნო თოველი ცივი,
დაექანა ძირს ნაკადი,
გულს ჩაიკრა თბილი სხივი;

როს ბელურამ დაიძახა:
„აწ სალხინოდ შიცემს გული!“
და გლებიცა ვაეშურა,
რომ ენახა თვისი ხნული.

დედამიწის წიალიდან
წამოვიდა ნელა-ნელა
ტუჩ-წითელი და ფეხ-თეთრა
ყვავილთ შიკრიკი ენძელა;

მან მოქარვა საამურად
მინდორი და მთისა სერი
და გვახარა: „ახლო არის
ვახაფებული მშვენნიერი!“

ი. ხუციშვილი.





არწივეები.



რთ მაღალ მთის მწვერვალზე მეფურად ისხდნენ არწივეები. ერთი—ხიერი, მეორე—კი ახალგაზდა.

ეს . ეს არის დაბრუნდნენ ისინი შორეულ მოგზაურობიდან ცის კამარაში და ისვენებდნენ. ეს მთა ისეთი მაღალი იყო, რომ მისი მწვერვალიდან დედამაიწა თითქმის არა

სჩანდა. ირგვლივ მხოლოდ მთის მწვერვალები იყვნენ ამართულნი და ესენიც პატარა კუნძულებად სჩანდნენ თეთრ ღრუბლებში, ასე რომ არწივეების ფეხქვეშ მხოლოდ ღრუბლები დაცურავდნენ; მათ თავზედაც ღრუბლები მიმოდრიდნენ.

—სწორედ ახლა საესებით ვიგობენ მნიშვნელობა შენი სიტყვებისა—დააჩღვია სიჩუმე ახალგაზდა არწივმა: მართლაც—ჩვენ, და მხოლოდ ჩვენ ვართ ნამდვილი მეფენი არა თუ ფრინველთა სამეფოში, არამედ ყველა არსთა შორის.—გადავლე თვალი—ვინ არის ჩვენზე მაღლა? მარტო მზის სხივები, მარტო თითონ დიდებული მზე. ეს მთებიც, ასე ამაყად

ქართული
ენების
სწავლის
სახელმძღვანელო

რომ ამართულან ცის კამარაში და თავისი თეთრი ლაფვარდ ცას შესცქერიან—ესენიც ჩვენ ქვეშ არიან.—ჩვენ ვართ ერთად-ერთი არსებანი, რომელთაც შეუძლიათ ყველაფერს თავზე გადაუარონ,—თავს შემოველონ. ჩვენ ვართ ერთად-ერთი მეუფენი ამ დიდებულ სამყაროსი და მარტო ქარია ამ ბედნიერებაში ჩვენი თანამოზიარე.

ღიახ, ჩვენ ვართ მეფენი და მფლობელნი ბუნებისა და ყოველ სულიერისა. სთქვა ეს და ამაყად გადაავლო თვალი არე-მარეს.

ხნიერმა არწივმა დაადასტურა ახალგაზღვას სიტყვები:

—ღიახ, ჩემო საყვარელო მეგობარო! იმ რამდენი წელიწადია ვცხოვრობ ქვეყანაზე, და ერთხელაც არ შემპარვია ეტვი ჩვენი ძლიერების შესახებ. ჩვენ ვართ მეფენი ცისა და დედამიწისა. მართალია, გამოგონია ჩემ წინაპრისაგან, რომ იქ; დედამიწაზე, არის ვიღაც სულიერი, რომელიც სრულებით არა ჰგავს არც ოთხფეხს, არც ფრინველს, თავის თავს ბუნების მეფედ სთვლის და სახელად ადამიანი ეწოდება. ის ადამიანი ამბობს თურმე: „მე ვარ მეფე ბუნებისაო.“ მაგრამ, ჩემო კარგო, ეს პირდაპირ თავის მოტყუებაა. ჩაიხედე ქვევით:—ნუ თუ ეს არის ბუნების მეფე, ეს ჯუჯა, რომელსაც სურს კლდეზე ამოკოცდეს, მაგრამ... ხედავ, როგორ მოსწყდა კლდეს და გადაეარდა უფსკრულში. საბრალო მეფე!

არწივებმა დახარეს თავი და მართლა თვალი მოჰკრეს პატარა შავ წერტილს,—ადამიანს, რომელიც, კლდიდან მოგლეჯილი, საშინელი სისწრაფით მიექანებოდა უფსკრული-საკენ.

დაცინვის ლიმილმა გადაურბინა სახეზე არწივებს.

—აბა, ერთი მითხარი—კიდევ რა გიაზბეს შენმა წინაპრებმა ადამიანების შესახებ?—დაეკითხა ახალგაზღვა. ხნიერმა არწივმა, თითქო არ ღირს ამაზე ლაპარაკიო, გაიზმორა და უპასუხა:




— სისულელე, სრული სისულელე, მეგობარო! რადღებო არაფერი არ უთქვამთ; ამბობენ-კი, რომ ადამიანს ისეთივე მახვილი თვალი აქვს, როგორც ჩვენ, — და უფრო შესანიშნავი ის არის, რომ მათ ისეთი გამჭვირავი აზროვნება ჰქონიათ, რომ ყველა სხვა ცხოველებისაგან განსხვავდებიან. რაც შეეხება თვალს, შენც კარგად იცი, რომ ეს მტკნარი სიცრუეა. თუმცა ჩვენ თითქმის ღრუბლებში ვართ, მაგრამ კარგად ვამჩნევთ აქედან დაბლა დედამიწაზე მოფუსფუსე ჯუჯა ცხოველებს, რომლებიც წვიმის შემდეგ გამოძვრალ ქიაყელებს მოგავგონებენ. არწივის თვალი?! განა ჩვენ თვალზე უსწრაფესი კიდევ იქნება რამე?

— მართალია! — თავ-მომწონედ მიუგო ახალგაზდა არწივმა, და ელვის უსწრაფეს გადააელო თვალი არე-მარეს.

— აზრიო! რა არის აზრი? — დაეკითხა იგი მოხუცს.

— აზრი სწორე გითხრა, ეგ ჩემთვის რაღაც გაუგებარია; თუმცა აზრით ადამიანს თავი მეტად მოაქვს, ამაყობს, მაგრამ შე-კი სისულელე მგონია. არა მგონია, რომ აზრს შეეძლოს მას რაიმე სარგებლობა მოუტანოს. რისთვის დაცოცავს თავის დიდებულ აზრით ისე, როგორც კუ დედამიწაზე და არ ამოფრინდება აქ, ამ სიმაღლეზე, სადაც თვალ-გადუწვდენელი სივრცე და თავისუფლებაა! რისთვის არ ისუნთქავს ამ შშვენიერ მთის სუფთა ჰაერს? რატომ არ დასტკება დიდებული ჭანახაობით — როცა მზის სხივები ათასფერად ელვარებენ თოვლით დაფენილ მთის მწვერვალებზე? ამბობენ — ის თავის აზრით შორს ფრინავსო; მაგრამ ეს ხომ ოცნებაა და არა სინამდვილე; ოცნებით სადაც მსურს — იქ გადაფრინდება; შენ სთქვი, რომ ნამდვილად დასტკებ, თორემ ოცნება რაა.

— თავი დაანებე მაგ საცოდავებს; მართლაც და არაფერი საინტერესო არ არის მათ ცხოვრებაში. ეტყობა ეს მისი „აზრი“ ძირიელ ამაგრებს დედამიწაზე და არ უშვებს, რომ





აფრინდეს ცის სივრცეში. არა თუ მეფე არ არის, არც მამა დაპირ მონა ყთფილა თავისი აზრისა.

დადუმდნენ არწივები.

წყნარმა ნიაჲმა გამოიქროლა და აუწეწა მათ ბუმბული. მეორედ უფრო ღონიერად დაჰქროლა ქარმა, ააფრინა არწივები თავის ადგილიდან;—ლამაზი რხევით აფრინდნენ ისინი და ისევ დაეშვნენ შწვევრვალზე. ცოტა არ იყოს შერცხვათ, რომ ასეთმა სუსტმა ქარმა შეარყია მათი დიდებულებანი და არიდებდნენ თვალს ერთმანეთს; მაგრამ კმაყოფილება და თავმოყვარეობა ერთ წამსაც არ მოშორებიათ.

ქარი საღლაც მიიმალა და სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

უეცრად რაღაც ხმაურობა მოისმა. ახალგაზდამ ასწია თავი, სმენად გადაიქცა.

— არ გესმის, მეგობარო! თითქო რაღაც თქრიალი ისმის? ნეტა რა უნდა იყოს? გესმის, ახლოვდება? უფრო ცხადად ისმის!

— მართალი ხარ,—აღელვებით მიუგო მოხუცმა,—რა უნდა იყოს? ქარის ხმაურობას დიდიხანია შეჩვეულნი ვართ და არ შეიძლება არ გამოვიცნოთ. ის ხომ ჩვენი ერთადერთი მეგობარია ამ სიმაღლეზე. არც თოვლის ზევის ხმასა ჰგავს; იმასაც კარგად ვარჩევთ. ეს-კი სულ უცნობი ხმაურობაა.

უეცრად ამაყი დამოუკიდებელი გამომეტყველება გაუქრათ არწივებს და ეუფლათ შიში, რაღაც მოახლოვებულ ფათერაკის წინაშე. თავისი გამქრიაბი თვალეები მიაპყრეს შორს, საიდანაც ისმოდა ხმაურობა. მალლა, მალლა, თოვლიანი-ყინულიან შწვევრვალებს ზევით გამოჩნდა შავი წერტილი; ის თან-და-თან ახლოვდებოდა; დიდდებოდა; ხმაურობა უფრო ძრვილდებოდა.

აკანკალდნენ ჰიერის მეფენი; შეშინებულნი მიეკრნენ

ერთმანეთს და ელოდნენ მათკენ საშინელი სისწრაფის
მფრინავ შავ წერტილს.

მალე ცხადად გაარჩიეს უზარ-მაზარი ფრინველის მძლავ-
რი ფრთები. ეს ფრთები სრულებით არ მოძრაობდნენ, მხო-
ლოდ მათ წინ რაღაც კრიალა საგანი ეღვის უსწრაფეს
ტრიალებდა, ხმაურობდა, გრიალებდა. არწივებს თავზე გადა-
ურბინა ამ მძლავრმა ფრინველმა.

— ნეტა ვინ იყო? ვინ ვაბედა ამ სიმაღლეზე ამოფრენა?
ეს ადამიანი იყო.

ადამიანის დაუღალავმა, მუდამ მოძრავმა აზრმა, სწო-
რედ იმ აზრმა, რომელსაც ასე სასტიკად დასცინოდნენ ამ
ერთი წამის წინ არწივები, აავლიჯა ადამიანი დედამიწას და
თავისუფლად ააფრინა ცის სივრცეში, სადაც დღემდის მხო-
ლოდ არწივებს და ქარს ჰქონდათ მუდმივი ბინა.

ამაყად გადააფრინდა იგი თოვლიან-ყინულიან მთის მწვე-
რვალებს.

თავისუფლად გაჰკვეთა ძლიერი მანქანით აქამდის მიუ-
ვალი ჰაერის სივრცე.

— ბუნების მეფე ადამიანი ყოფილა. საოცრად ძლიერი
სულდგმული მიფრინავს და მიფრინავს დაუსრულებელ სივრ-
ცისაკენ, მზიარულად ეგებება ბრწყინვალე მზის სხივებს და
სინათლის დაუსრეტელ წყაროს—თვით დიდებულ მზეს.

— ადამიანმა სძლია ყოველივე.

— ადამიანია მეფე ბუნებისა.

შიშით გარინდულნი იხსდნენ არწივები მწვერვალზე;
შიშით გადაბედეს ერთი მეორეს, კრძალვით გააცილეს შორს,
ძრიელ შორს მფრინავი, აქამდის უნახავი, ფრინველი, რომელიც
თან-და-თან ღნებოდა, იკარგებოდა ცის ლაქვარდში.

როდესაც სრულიად თვალს მიეფარა, აფრინდნენ კლდი-
დან ჰაერის ყოფილი მეფენი და სწრაფად ჩაეშენენ შავს უფ-
სკრულში.

იტა ნაკაშიძე.





საქართველოს
საზოგადოებრივი

ამერიკელი.

პიესა ორ მოქმედებად

მომხმედნი პირნი:

სოსო. — 10 წლის, გიმნაზიელი.

ანიკო. — 9 წლის

თამრო. — 12 წლის

ჩიტო. — 11 წლის, სოსოს ამხანაგი.

მაწანწალა. — გამოურკვეველი წლოვანობისა.

მოქმედება პირველი.

სოსოს ოთახი. ღოგინა, მაკიდა; კედელზე გეოგრაფიული რუკა ჰქადა. მარცხნივ და მარჯვნივ — კარები. სოსო ღოგინაზე წევს, მიშტერება ჭერს და უსტყუნს. თამრო მაკიდასთან ზის, ხელში წიგნი უჭირავს.

გ ა მ რ ს ვ ლ ა I.

თამრო და სოსო.

თამრო. (კითხულობს)... „არც ერთ ქვეყანაში არ არის ისეთი მშვენიერი მცენარეულობა, როგორც ამერიკა-



- ში. აქ უდაბნო თითქმის სულ არ არის. არც აბე-
 ისთანა შშრალი და ვრცელი მინდვრებია. ამენდვიქიძისა
 ნახევარზე მეტი ნაწილი სულ დაბურული ტყითაა
 მოფენილი“... (კეთხუფაძეს)
- სოსო. თამრო! (თამრო მობრუნდება). რას აკეთებ?
- თამრო. ვცეკვავ.
- სოსო. ვერაფერი მოსწრებული პასუხია.
- თამრო. მაშ რა საჭიროა ასეთი სულელური კითხვა?—ხომ
 გესმის—გაკვეთილს ვსწავლობ!
- სოსო. ორი კვირით წინ გაკვეთილების სწავლა დიდ
 კევა გგონია! ხა, ხა, ხა!
- თამრო. ნუ მიშლი, ნუ!
- სოსო. (აჯაგრებს). ნუ მიშლი, ნუ მიშლი! გუშინ დაგვი-
 თხოვეს სააუდგომოდ, და დღესვე წიგნებს ჩაუჯდა,
 არ მოგასვენებ, არა. განგებ შეგიშლი ხელს (აჯე-
 ბა ფოჯახზე).
- თამრო. ბიკო, დამანებე თავი!
- სოსო. (აჯაგრებს). მოზეპირე ჩერჩეტა, მოზეპირე ჩერჩეტა!
 (ესტვენს).
- თამრო. (კითხუფაძეს). „ჩრდილო ამერიკის მშრალ ალაგებ-
 ში დიდი მინდვრები—პრერიებია. ვახაფხულზე და
 ზაფხულზე პრერიები ნოყიერი მწვანე ბალახით
 იმოსება. ბალახი მხოლოდ...“
- სოსო. თამრო!
- თამრო. რა გინდა?
- სოსო. მამა სად არის?
- თამრო. არ ვიცი.
- სოსო. დედა?
- თამრო. სამზარეულოში.
- სოსო. დიდად გმადლობთ, ქალბატონო!
- თამრო. (კითხუფაძეს)... „ბალახი მხოლოდ ზაფხულის ბო-



- ლოსა და შემოდგომაზე ხმება, და ამ დროს მისი მხარეები მწევანე ფერს ოქროსფერად იცვლიან.
- სოსო.** (უგბად წამოფარდება) თამრო!
- თამრო.** (შაშისკან წიგნი უფარდება). თუ! როგორ შემაშინე? მოუსვენარო!
- სოსო.** თამრო, მოდი ვაეიქცეთ ამერიკაში.
- თამრო.** მომშორდი!...
- სოსო.** დაიცა, თამრო, ნუ ბრაზობ! ყური დამიგდე—რა გიძხრა.
- თამრო.** თავი დამანებე, ნუ მიშლი მეთქი.
- სოსო.** მართლა გეუბნები, თამრო, ღმერთმანი!
- თამრო.** ხომ არ შეიშალე?
- სოსო.** მოდი ახლა და ქალს საქმეზე ელაპარაკე!
- თამრო.** თუ არ მომასვენებ, დედას ვეტყვი.
- სოსო.** (აჯაფრეს). დედას ვეტყვი, დედას ვეტყვი! დასმენის მეტი რა იცით ქალიშვილებმა? (დადა ხნის საჩუქე). გაგიგონია შენ, რომ ახალ ქვეყანაში მათხოვრებად მიდიან და მილიონერებად—კი ბრუნდებიან?
- თამრო.** კარგი, სოსო: უნდა ვიპეცადინო. (კათხუღაძის... „მიწის გულში-კი უთვალავი სიმდიდრეა ჩამარბული. ალფეგანის მთები მდიდარია რკინის მადნებით და ნავთით; კლდოვანი მთები, სიერა-ნევეა და კასკადის მთები—ოქროთი, ვერცხლითა, სპილენძითა, ვერცხლის წყლითა და სხვა ლითონებით*...)
- სოსო.** საძაგელი ხასიათი გაქვს. (მაუზა. თამრო წიგნს ფურცლავს; სოსო, ადუღუბუღი, თათხმა დაჯის). თამრო! ეს მაინც მითხარი: რა უფრო გინდა, რომ გქონდეს?
- თამრო.** როგორ?
- სოსო.** ისე, რა უფრო მოგწონს? მაგალითად: თოფი, აეროპლანი, არაბული ცხენი, თუ რა?
- თამრო.** არაბული ცხენი რად მინდა?

- სოსო.** მაშ რა? ოქრო, ვერცხლი, ძვირფასი კაბა, ვერცხლი
- თამრო.** (აღნეპობას). ჰმ... მინდა... მინდა, რომ შემთხვევით
აბრეშუმის ცისფერი... არა, ვარდის ფერი კაბა...
ლენტებით გაწყობილი. ფეხსაცმელებიც ვარდის ფე-
რი იყოს... კიდევ... კიდევ... მინდა ჩანთა, მაგრამ
სწორედ ისეთი, როგორც დეიდა ნინოს აქვს: ვე-
რცხლეულით გაწყობილი.
- სოსო.** ჰო? მაშ გიცხადებ, რომ შენ შეგიძლია გქონდეს
ათი ათასი ფეხსაცმელი და მილიონი, ათი მილიონი
ვერცხლით მორთული ჩანთა; ყველაფერი, რასაც
კი მოისურვებ
- თამრო.** რას ამბობ, სოსო, რა მოგდის?!
- სოსო.** საიდუმლოდ გეტყვი, თამრო! (კარებს სურავს). მე
და ჩიტომ დიდი ხანია გადავწყვიტეთ გაქცევა. მას
გერმანულში აქვს 2, მე კიდევ ლათინურის მასწავ-
ლებელი შემტერება; ასე რომ არაფერს ვკარგავთ.
ამ ნახევარ საათში ჩიტო უნდა მოვიდეს ჩემთან და
საბოლოოდ მოვილაპარაკებთ. ავარჩევთ, თუ რო-
მელი გზით სჯობია წასვლა, და ჰაიდა! ყველაფერი
მზადა გვაქვს უკვე; მხოლოდ ის-ღა დავგრჩენია,
რომ ჩვენი გადაწყვეტილება ავასრულოთ. თუ გი-
ნდა, შემოგვიერთდი. შენ საშინაო საქმეებს მოგან-
დობთ; საქმელს გაგვიკეთებ, მოკასინებს შეგვი-
კერავ.
- თამრო.** ეს მოკასინი რაღა არის?
- სოსო.** მოკასინი ის არის, რასაც ინდიელები ფეხებზე იც-
ვამენ: მაშა... მე და ჩიტო ყოველ დღე ვინადი-
რებთ ბიზონებზე*). უქმეებში კიდევ შენთან ერ-
თად სასეირნოდ წავალთ. ჩინებული ცხოვრება
გვექნება, ჩინებული.

*) გარეული ხარი.



თამრო. სოსო, დაანებეთ. თავი მაგ. გადაწყვეტილებას.
სოსო. დაიცა, დაიცა, ვიამბო ბოლომდე. როცა ნადირობით ცოტაოდენ ფულს შევიძენთ, გავსწევთ კალიფორნიისაკენ, ოქროს მადნებში. ვესმის, რას ნიშნავს ოქროს მადანი?..

გ ა მ ო ს ვ ლ ა II.

იგინივე და ანიკო.

ანიკო. (შემოყარდება დაშვავებული, ფეხვალში გასვრიალი).
 თამრო, თამრო! წამო გვიშველე! რომ იცოდეს, რა ქაღები კეთდება, რა ქაღები!..
სოსო. ნუ გვიშლი, ანიკო! ჩვენ აქ საქმეზე ვლაპარაკობთ, შენ-კი რაღაც ქაღებისათვის ამოგდის სული.
ანიკო. ოჰო, ჰო, ჰო! რა საქმის კაცი გამოჩნდა? (სცეხის აქიდან ზარის წკარუხა მოისმას).
სოსო. ჩიტო მოვიდა. მითხარი თამარ, შემოგვიერთდები თუ არა? ჩქარა, გადასწყვიტე!..
თამრო. უთხრა მამას: ის გაჩვენებს ოქროს მადნებს!..
სოსო. საძაგელო! მეგონა პატიოსან ადამიანთან მქონდა საქმე, შენ-კი...
ანიკო. (თამარს) წაეიდეთ, ნუში გავაოჩიოთ.
სოსო. ვიხუმრე; არსადაც არ მივდივართ. ჩიტო სულ სხვა საქმისთვის მოვიდა ჩემთან: უნდა ვიმეცადინოთ.

გ ა მ ო ს ვ ლ ა III.

იგინივე და ჩიტო.

თამრო. ხა, ხა, ხა! ორი კვირით წინ სწავლობენ გაკვეთილებს! იცი, ანიკო, ეს ვაებატონები ამერიკაში გა-



- პარკის აპირებენ. (ჩიტოს). ოჰ, გამარჯობათ!
 ტონო ამერიკელი!
- ჩიტო.** გამარჯობათ. (ჩუმად სოსოს). შენ უთხარი?
სოსო. არსადაც არ მიედივართ. ჩიტო, შეუდგეთ მეცადინეობას!
- ჩიტო.** რა მეცადინეობაა?..
სოსო. (შეჟღერებს ჰკრავს). აკი შევთანხმდით, რომ დღეს ვიმეცადინოთ?
- ჩიტო.** ჰო, მართლა, მართლა! მოდი, მოდი!
სოსო. ქალებო, აიბარგეთ, (უჩვენებს კარზე) ნუ გვიშლით!
ანიკო. დედა, დედა, რა საქმის კაცებია?..
თამრო. წაიღეთ, ანიკო, ნუ შეუშლით ბიზონებზე ნადირობას, ესე იგი—მეცადინეობას.
ანიკო. გზა მშვიდობისა, ბატონო ამერიკელნო.

(თამრო და ანიკო გადიან.)

- სოსო.** საძაგლები, ქალიშვილებთან საქმეზე ლაპარაკი ყოველად შეუძლებელია. (შეძვრება ტახტის ქვეშ).
- ჩიტო.** სად მიძვრები?
სოსო. (ტახტის ქვეშაიდან) დაიცა (მისწი-მოსწევს მიფარებულ ნივთებს და გამოათრევს რაღაც შეხვეულს) დავმალე, რომ არაეის დაენახა (აჩვენებს შეხვეულს.) აი ეს საგზაოდ წავიღოთ.
- ჩიტო.** ეს რა არის?
სოსო. ღორის ნახევარი ბეჭი. მთელი უნდა მომეპარა, მაგრამ შემეშინდა, დედას არ გაეგო. მაინც ვერ ვზიდავთ: პირველად ხომ ფეხით მოგვიხდებოდა სიარული!
ჩიტო. (სუნავს ხორცს). ეს ხომ მოუხარშავია?
სოსო. მერე, რა უყოთ? ორთქლში გავლებული ხომ არის. ინდიელები სულ მოუხარშავს სკამენ და ისიც ცხენისას... აბა ახლა საქმეს შეუდგეთ. მიშველეთ, რუქა ჩამოვიღოთ (ჩამოიღებენ რუქას, გაშლიან ატაკზე,



- და თვითონაც ზედ დაჯდებან). ჩენი გზა მსოფლიოში და იყოს: ჩველთ ბათომში, ჩვეჯდებით სტამბოლში მიმავალ გემში; შემდეგ ხმელთა-შუა ზღვა, გიბრალტარის სრუტე, ატლანტიის ოკეანე და ამერიკა... მაგრამ ეს გზა მოსაწყენია: სულ ზღვა და ზღვა. მერე კიდევ ბევრჯელ ვეზბდება გადაჯდომა. ბათუმიდან ამერიკაში პირდაპირ მიმავალი გემი არ არის და ადვილი შესაძლებელია დაგვიჭირონ. თუ დაგვიჭირეს-კი, ციხეში ჩავსვამენ და შეიძლება კიდევაც ჩამოგვახრჩონ.
- ჩიტო.** განა საამისოს ჩავდივართ რამეს?
- სოსო.** გიბრალტარის სრუტე და იქაური სომეგრე? თუ ჯაშუშებად მიგვიღეს, ხეირს არ დაგვაყრიან!
- ჩიტო.** ეს მართლაც საშიშია!
- სოსო.** მაშ ასე ვქნათ: დავადგეთ ციმბირის გზას; მივიდეთ ვლადივოსტოკამდე; ჩვეჯდეთ გემში; გადაეცუროთ დიდი ოკეანე და ამერიკაში ამოვეყოთ თავი.
- ჩიტო.** მერე დიდხანს არ მოუნდებათ?
- სოსო.** ასე, ორი-სამი თვე მაინც მოუნდებათ, და ისიც მაშინ, თუ იაპონელებმა, ან ჩინელებმა არ დაგვატყვევეს.
- ჩიტო.** ვერც ეგ დატყვევებაა მაინცა-და-მაინც კაი ამბავი.
- სოსო.** მეც ასე მგონია. ამისათვის უმჯობესია ასეთი მოკლე გზა: პეტერბურგი, ლიბავა და ამერიკა.
- ჩიტო.** მმ... რაკი მოკლედა სთქვი, ჯზაც მოკლე გგონია? შეხედე რა გრძელია?—უ—უ—უ...
- სოსო.** ეს იმითომ, რომ ჩენი რუკა დიდია. შე მინახავს სხვა რუკა; იქ სულ მოკლეა ეს გზა. ესეც რომ არ იყოს, უკეთესი გზა აღარა გვაქვს...



- ჩიტო.** კარგი და, პეტერბურგში როგორ ჩავიდეთ?
- სოსო.** პეტერბურგში? სულ ადვილად: დავადგეთ რკინის გზის ლიანდაგს და პირდაპირ პეტერბურგში ჩავიყვანს. მე კარგად ვიცი გზა—შარშან მამამ წამიყვანა სწრაფი მატარებლით მოსკოვში. იქიდან-კი პეტერბურგამდე ერთი გადახტომის მეტი არ იქნება.
- ჩიტო.** რომ დავიბნეთ? ხელად გადავსცდებით გზას და პეტერბურგის მაგივრად ავსტრალიაში ამოვყოფთ თავს.
- სოსო.** რა სულელი ხარ! ჯერ ერთი რომ ავსტრალიაში რკინის გზა არ მიდის. მეორეც—მეისრეები რილასთვის არიან რკინის გზაზე? შეგვხვდება თუ არა გადასახვევი, მაშინვე ვკითხავთ—რომელია, გეთაყვა, პეტერბურგის გზა? მე მგონი არც ერთი არ დავგზარდება და სწორ გზას გვიჩვენებს. გზის დაკარგვა როგორ შეიძლება?
- ჩიტო.** ეს-კი მართალია...
- სოსო.** გადავიდეთ ჩვენ მდინარეზე, ავიდეთ რკინის გზაზე და გავსწიოთ.
- ჩიტო.** პირდაპირ სადგურზე რატომ არ უნდა წავიდეთ?
- სოსო.** შეიძლება, რასაკვირველია, სადგურზე წასვლაც, მაგრამ, თუ მდინარეზე გადავალთ, ხიდის ახლოს რომ ტყეა—იმას აესცდებით.
- ჩიტო.** რომელი ტყე?
- სოსო.** აი ის, სადაც მწყემსი მოჰკლეს ამ შემოდგომაზე.
- ჩიტო.** ა—ა—ა!..
- სოსო.** და აი, თუ სადგურზე გაველით, იმ ტყეზე მოგვიხდება გავლა.
- ჩიტო.** მერე, გეშინია განა?!



მარკინუსი
მეგობარი

- სოსო.** ვინ გითხრა? სრულებითაც არა... ესე
ლებით არ მეშინია... ვინდა წავიდეთ პირდაპირ
სადგურზე. მე წამოვალ ტყით; შენა?
- ჩიტო.** ყური დამივდე, სოსო! არც მე მეშინია,—მაგრამ...
შეიძლება... ტალახი იყოს...
- სოსო.** მგონი შენ თვითონ შეშინდი?
- ჩიტო.** ვინა? მე? სულ არ წამოვალ, თუ ტყეზე არ გავი-
ვლით.
- სოსო.** კარგი, წავიდეთ ტყით... წავიდეთ; მაგრამ თუ სა-
დგურზე დაგვატყვევებს, როგორც გაქცეულები,
იცოდეთ—ჩემი ბრალი არ იქნება! რას მიცქერი აგრე?
- ჩიტო.** არც-კი მიფიქრია. შენი ცქერა.
- სოსო.** შენა გგონია, რომ მეშინია ტყეზე გავლა?
- ჩიტო.** ვინ გითხრა? გულშიც არ გამივლია. მე კარგად
ვიცი, რომ ჩვენ არაფრის გვეშინია... ვანა სულ
ერთი არაა, რომელი გზითაც წავალთ? გადავიდეთ
მდინარეზე ნავით და გავყვეთ ნელ-ნელა. მხოლოდ
იცი, რა უნდა გითხრა? უფულოდ მგზავრობა ძნე-
ლი-კი იქნება. აი, მე მანეთი და თოთხმეტი შაური
შევავროვე, მაგრამ ძლიერ ცოტაა.
- სოსო.** ნუ გეშინია! კარგად შეინახე, გაქირვების დროს
გამოგვადგება. (ამოიღებს ქასს). ხედავ? ათი მანეთი
მაქვს აქ. მამამ მაჩუქა: რაც მოგეწონოს—ის იყი-
დეო. რა იცის, თუ ამ ფულით ამერიკაში მივდი-
ვარ? აი, კიდევ სამი მანეთი. მოდი, შენი ფულიც
აქ მოიტა. ჩვენი ქონება დღეიდან გაუყოფელია!
- ჩიტო.** ძალიან კარგი...
- სოსო.** აბა, წასვლის დროცაა. იარაღი გაქვს?
- ჩიტო.** დანა... ფინური... დასაკეცი.
- სოსო.** მეცა მაქვს... ტანთ ჩაიცვი... რა და რა წავიღოთ



თან. რუქა უსათუოდ საჭიროა... გეოგრაფიკული
გნი... კომპასი... საქართველოს
გეოგრაფიკული
ინსტიტუტი

ჩიტო. გლობუსიც წავიღოთ.

სოსო. წავიღოთ. ბევრი ბარგი ძნელი სატარებელი-კი იქ-
ნება. ატლასიც საჭიროა. ესენი სულ აუცილებელი
რამეებია. მამას ჯოხსაც წამოვიღებ, ყოველ შემ-
თხვევისთვის: გამოგვადგება გზაში.

გ ა მ ო ს ვ ლ ა IV

ივინივე და ანიკო.

ანიკო. (სცენას იქადახ). საღებავები სად არის? საღებავები-
ვინ წაიღო? (შეშოფარდება თათხში). ღმერთო ჩემო!
სად არის საღებავები? თქვენ საითკენ გამგზავრე-
ბულხართ?

სოსო. (გახზე). აი ხათაბალა! (ანაკოს). რასა ყვირი? რა-
გინდა?

ანიკო. საღებავი, საღებავი კვერციხი უნდა შევღებოთ! გუ-
შინ შეინახა დედამ, და ვეღარ მიპოვნია.

სოსო. ეს სულ წვრილმანი რამეებია, ანიკო!..

ანიკო. როგორ თუ წვრილმანი რამეებია? მაშ კვერციხი-
რითი შევღებოთ?

სოსო. მც მაგას არ გეუბნები... თუ რამე გაიგოთ ჩვენზე —
არ გაგიკვირდეთ და არც შესწუხდეთ...

ანიკო. სოსიკო, სოსიკო, რა იყო? ნუ მაშინებ, შენი კი-
რიმე!

სოსო. აბა, დრო აღარა გვაქვს. მიჩუქებია შენტვის ჩემი-
ახალი სამელნე და ფერადი კარანდაში. (შეუქმნე-
ვლად ცრემლებს აწმუნდს).



- ანიკო. სად მიდიხართ? ესენი რა მოგიგროვებნენ?
- სოსო. ამხანაგთან მივდივართ. არ გამოხვიდე დერეფანში, ცივა.
- ანიკო. —ა! ვიცო: უნდა ნავით იცურაოთ; ან შეიძლება ამერიკაში მიდიხართ? იცოდეთ, დედას ვეძებ (გადის).
- ჩიტო. სოსო!
- სოსო. რა იყო?
- ჩიტო. არ შეიძლება დავრჩეთ? კვერცხი შევლებოთ.
- სოსო. დედაბერო! აილე ლორის ხორცი, წავიდეთ!

(ფარდა).

მ ა ქ მ ე დ ე ბ ა მ ე ო რ ე .

ფიცრული, სადაც უთავბოლოდ ჰქია ფიცრება, უუთება, ძველი აუჯუჯულობა და სხვა რაკინდარობა. შუა კედელში გამოჭრილია ფანჯარა. მარცხნივ კვადრატული ფეხი, რომლის იქადან მასჩინს მინარე მანქანას ცალი ფეხა, შემოდის სოსო და იქით აქვთ იფურება. შემოქვეება ჩიტოც.

გ ა მ ო ს ვ ლ ა I.

- სოსო და ჩიტო, (შემდეგ მანქანა).
- სოსო. (შემოდის). შემოდი, ნუ გეშინია! დანა მოამზადე... ფიცრულში ვართ... მოდი, ჩამოვჯდეთ.
- ჩიტო. ჩამოვჯდეთ... ცოტა არ იყოს დავიღალე.
- სოსო. უკვე გვიანია განა?.. ბნელდება... რკინის გზაზე დღეს ვეღარ გავალთ.



ჩიტო. მაშ... მოდი, ეს ღამე სახლში გავათიოთ.
სოსო. შვიშარავ!

ჩიტო. ესე იგი სახლში-კი არა აქ... უნდა შეთქვა აქ-
 მეთქი... ხვალ-კი ისევ გაუდგეთ გზას.

სოსო. კვ... იცი, რომ მაინც აგრე სჯობია. აქ არც ისე
 ცივა. დავიგოთ პალტოები და დავწვეთ... ეს კი-
 დევ არაფერი: ამერიკაში, ჩემო ჩიტო, ტიტველა-
 ქვებზე მოგვიხდება ძილი. გარშემო სულ ვეფხვი-
 და გველეშაპები იქნებიან—აქ კი რა გვიშავს?... ერ-
 თი რომ დავიკიფინოთ, ქალაქში გაიგონებენ. (ჩა-
 ფაქრდება). აი, სამრეკლოს ხომ ხედავ... იმას იქი-
 თაა ჩვენი სახლი... ვინ იცის, თამრო და ანიკო
 კვერცხებს ღებავენ ახლა... რად ოხრავ? გაივლის-
 რალაც ხუთი წელიწადი და, შეიძლება სწორედ
 დღეის დღეს შევალთ კარები, გამოვეცხადოთ ჩვე-
 ნებს ღ თავ-მამწონედ უთხრათ: „ამას რას აკეთებთ?
 კვერცხებსა ღებავთ?“ — გავკრავთ ფეხს, და კვერცი-
 ან-საღებავიანად მოვანიორწყალვით. — „ოქროს კვე-
 რცხებს არ ინებებთ? განა თუ გაკეთებულს — ბუნე-
 ბრივს“ და ამოვაწყობთ და ამოვაწყობთ მუშტის-
 ოდენებს. — გაუკვირდებათ და დაიწყებენ „აი“ და
 „უი“ ის ძახილს. — საიდან? როგორ? — ჩვენ-კი, ვი-
 თომც არაფერი, ვდგევართ და ყურებსაც არ ვი-
 ბერტყავთ. თავგამოდებულ და შეუპოვარ ადამიან-
 ნებისთვის არაფერია შეუძლებელი ქვეყანაზე (შაუხა),
 ჩიტო!

ჩიტო. რა არის?

სოსო. მოდი, ფიცი დავდოთ, რომ არაფრის გულისთვის
 არ გადავთქვამთ ჩვენ გადაწყვეტილებას. რაც გინდ-
 გასაქირი და ხიფათი მოგველოდეს.



- ჩიტო. მერე ფიცი რა საქიროა. მე ისედაც გადაწყვეტილი მაქვს.
- სოსო. კი, მაგრამ მაინც... რა დიდი საქმეა ფიცის დადება?..
- ჩიტო. მოშორდი ერთი! მე არც-კი ვიცი, როგორ უნდა დავიფიცო. უმჯობესი იქნება, დავჯდეთ და ლორის ხორცი ვკამოთ. (აიღებს ღანას და ხორცს შაჰ-ქრას.)
- სოსო. შენთან მოგზაურობა ვერაფერი საინტერესო ყოფილა.
- ჩიტო. ერთი მითხარი, სოსო! რა უნდა გავაკეთოთ ჩვენ ამერიკაში?
- სოსო. როგორ თუ რა? ბიზონებზე ვინადირებთ.
- ჩიტო. მერე რაში უნდა გამოვიყენოთ?
- სოსო. რა?
- ჩიტო. ბიზონები.
- სოსო. გავყიდოთ.
- ჩიტო. ვის რაში უნდა?
- სოსო. მოშორდი!.. რას ჩამაცივდი? (შაუზა.) ბიზონის ხორცსა სჯამენ; ტყავისაგან კიდევ ფეხსაცმელებსა პკერავენ... ქამრებსაც აკეთებენ...
- ჩიტო. რითი უნდა მოვეკლათ ბიზონი?
- სოსო. რასაკვირველია—თოფით.
- ჩიტო. თოფი სადა გვაქვს?
- სოსო. რაღა თქმა უნდა—ჭიყიდით.
- ჩიტო. მერე ფული სად არის?
- სოსო. ფულიც ჩვენა გვაქვს.
- ჩიტო. ეგ ფული გზაში-კი არ მოგვინდება?
- სოსო. მგზაურობაში ყოველთვის ბევრი ფულია საქირო.



- სოსო. დამეკარგე! გააქირე შენც საქმე, ვიშოვით...
საქ...
ჩიტო. როგორ ვიშოვით?
- სოსო. როგორმე!.. ვიმუშავებთ... ნავთსადგურებში ტვირთს
გადავზიდავთ.
- ჩიტო. ჩვენ არ გვამუშავებენ... იქ ლონიერებია საქირო.
- სოსო. მე-კი ლონიერი არა ვარ?!. (ხელსა ჰკრავს ჩიტოს.)
- ჩიტო. ნუ ჩხუბობ!.. პატარეებს არ მოგვეცემენ ასეთ სა-
მუშაოს—მეთქი.
- სოსო. თუ პატარა ხარ, დაბრუნდი სახლში. მე-კი უკვე
დიდი ვარ. ძია ნიკო იოსებსაც-კი მეძახის ხან-და-
ხან.
- ჩიტო. სოსო!..
- სოსო. რა იყო?
- ჩიტო. დავბრუნდეთ სახლში.
- სოსო. მზალო! თუ გნებავს—დაბრუნდი მარტო; შენი-
სთანა დედაბერი ნაცარს უნდა ჰქედეს.
- ჩიტო. კარგი, კარგი... ვიხუმრე. (ხანგრძლივად საჩუშუ.)
- სოსო. (წამოვარდება და შუბლში ხელს იტკივებს.) რა სულე-
ლი ვარ, რა სულელი! რატომ აქამდე არ მომა-
გონდა?!..
- ჩიტო. რა იყო, ბიკო, რა იყო?!
- სოსო. იცი, რას გავაკეთებთ ამერიკაში?
- ჩიტო. რას?
- სოსო. ოქრო ვთხაროთ. ღმერთო, ღმერთო! როგორ და-
მაიწყდა? მივალთ ამერიკაში, გადავალთ ფეხით
კალიფორნიაში და შეუდგებით ოქროს თხრას.
არავითარი ხარჯი, საკმელად მარტო პური; სიმ-
დიდრე-კი იზღება და იზღება... აბა, შენ იანგა-
რიშე, რა უნდა დაჯდეს, ერთი ან ორი ბარი?



სხვა-კი არაფერია საჭირო ოქროს სახელებსა
 თუ ძლიერ ვეცდებით, ერთ ცულს და წერაქვსაც
 ვიყიდით. ჩიტო! ძალიანი აზრი მომივიდა, არა?
 (გახსმის მაწანწაღას ხერხე და შემდეგ მაღალი მოქნა-
 რება.) ეს რა არის?

(მიფარდებათ კედელს, ეკვრიან ერთმანეთს. მაწან-
 წაღა წამოფარდება, გადმოაგდება უუთს, წაიქნევა,
 ადგება და სარბადით მივა კარებთან, დაამტკრდება
 სოსოსა და ჩიტოს).

სოსო. უკაცრავად, მგონი შეგიშალეთ (მაუზა) თუ რითმე
 გაწუბებთ, ჩვენ ისე... დასასვენებლად შემოვიარ-
 რეთ. საუბრეს არ მიირთმევთ? (უგელა დაჭდება.
 მაწანწაღა აიღებს ხორცის ნაჭერს და ხარბად დაიწეებს
 ჭამას.) ოჰ, უკაცრავად! პურის წამოღება დაგვა-
 ვიწყდა. ჩიტო, როგორ დაგვემართა, რომ პური
 ვერ წამოვიღეთ? ნება მომეცით გავაცნოთ: ჩემი
 ამხანაგი გახლავთ, ჩიტო ერთ კლასში ვსწავლობთ,
 ერთად ვზივართ... საუკეთესო ამხანაგი გახლავთ
 ჩემი. შეიძლება კიდევ მიირთვათ? (უჭრას ხორცს.)

მაწანწაღა. მოიტათ, მოიტათ!..

სოსო. რომ იცოდეთ, როგორ შეგვეშინდა? ვიჯექით,
 ვლაპარაკობდით და უცხად... ჩვენ ლომის ან ვე-
 ფხვის ღმუილი გვეგონა. ხა, ხა, ხა!.. თურმე-კი
 თქვენ ისვენებდით. ნუ გვერიდებთ, სულ ინებეთ
 ეს ხორცი... კიდევ აგლიათ?.. ძალიან კარგი,
 ძალიან... მიართვით, მიირთვით. თუმცა დიდი
 გზა გვაქს, მაგრამ, თუ დაგვკირდა, საქმელს ვი-
 შოვით. უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ მივდივართ
 ჯერ-ჯერობით ფეხით და მერე, რასაკვირველია,
 რკინის გზით, ამერიკაში...

მაწანწაღა. სადაა?



სოსო. ამერიკაში... მხოლოდ არავის უთხრათ, გერმანიის
... თორემ შეიძლება დაგვაბრუნონ... ხომ არ ეტყვი?

მანანწალა. არავის ვეტყვი (მაუზა).

სოსო. თქვენ აქაური ბჭანდებით?

მანანწალა. არა.

სოსო. მაშ სადა ცხოვრობთ.

მანანწალა. რა თქვენი საქმეა?.. ამერიკაში...

სოსო. მართლა? არა ხუმრობთ?

მანანწალა. მართლა...

სოსო. იცით რა? წამოდით ჩვენთან ერთად. ღმერთო,
ღმერთო, რა კარგი იქნება? (მანანწალა თითქმის იღო-
კავს). ხელსაწმენდი არა გაქვთ? ჩიტო, როგორ
დაგვავეიწყდა ხელსაწმენდის წამოღება? აი, სუფთა
ცხვირსახოცი ინებეთ: ჯერ არც-კი მიხმარია. უნ-
და მოვახსენოთ, რომ ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს
ოქროს შეძენა. ამერიკაში ძლიერ ბევრია ოქროს
მადნები.

მანანწალა. სამოვრის ოქროსი?

სოსო. რათა?.. ნამდვილი ოქრო, ნამდვილი... ვერ წარმო-
იდგენთ—რა ადვილი სათბრელია ოქრო. საჭიროა
მხოლოდ ბარი. მე უკვე ველაპარაკე ამის შესახებ
ჩიტოს. ზოგან-კი ბარიც არ უნდა, ისე ადვილი
ამოსაღებია: დაიბრები, იიღებ და გაუძახებ ჯიბეში.
ღმერთს გეფიცებით!?

მანანწალა. რამდენი ვერსი იქნება ამერიკამდე?

სოსო. მ—მ—მ... ეს არ გეისწავლია .. არ ვიცი... მაგრამ
შორს კია...

მანანწალა. ბაქოზე შორს არის?

სოსო. რასაკვირველია, რასაკვირველია. ბევრით შორსა.
მერე კიდევ ბაქო სულ სხვა მხარესაა; ჩიტო, აბა
მოიტა რუკა, აი შეხედეთ. ბაქო დაახლოვებით



- აქ არის, ამერიკა-კი აი სად არის! როცა შენ მიხედობი
 ში მივდივართ, ოკეანე უნდა გავიაროთ გემით.
- მანანწალა.** ვიმგზავროთ. (დაუსტვენს).
- სოსო.** რა იყო?
- მანანწალა.** ჩემისთანებს გემთან ახლოსაც არ მიუშვებენ.
- სოსო.** თუ ფული არა გაქვთ, არ შეწყუბდეთ. ჯერ-ჯერობით ჩვენს ხარჯზე იმგზავრეთ. — თქვენც გეყოფათ: ფული გვაქვს...
- მანანწალა.** რომავით...
- სოსო.** ღმერთმანი—გვაქვს. ცამეტი მანეთი ჩემი, მანეთი და თოთხმეტი შაურიც—ჩიტოსი... აი აქა მაქვს...
- მანანწალა.** აბა, მაჩვენე ..
- სოსო.** აი ნახეთ...
- მანანწალა.** (იღებს ფულს და დიდს ვურადღებთათ აფაღაურებს). ბნელა, არა სჩანს. ვინ იცის—სპილენძის ფულს მაჩვენებთ?.. (მივა კარებთან და შიამაღებ. ხანგრძლივი სიჩუმე)
- სოსო.** (ადგება და გაახედაქს კაშა). სად არის? გაიქცა ჩიტო! ეს ხომ ექსპოპრიატორი იყო?!
- ჩიტო.** სოსო, მეშინიან... გავიქცეთ...
- სოსო.** სსუ... გაჩუმდი. .
- ჩიტო.** სოსო!..
- სოსო.** დაიცა, კარგად დაგვშორდეს. ლორის ხორცი სულ წაიღო... ახლა რაღა უნდა ვქამოთ?
- ჩიტო.** ჩემი დანაც წაუღია... (ტირილით). სოსო, წავიდეთ სახლში... ნავით გადავიდეთ პირდაპირ...
- სოსო.** მენავეს რა მივცეთ, ფული რომ აღარა გვაქვს?
- ჩიტო.** სანაოზე მაინც ჩავიდეთ. აქ მეშინია.
- სოსო.** სსუ... დაიცა...
- ჩიტო.** სოსო! რა ამბავია? მეშინია!..



- სოსო. დაიცა... (სტენის იქიდან ისმის თამროს ხმა: სოსო! სოსო! სოსო, ჩიტო!) თითქოს ვილაც ყვირის... (კიდევ ისმის ხმა: სოსო, სოსო!)
- ჩიტო. ეს ხომ ჩვენ გვეძახიან?!
- სოსო. გამოიგონებ რაღაცაებს!..
- ჩიტო. აბა დაუგდე ყური... (ძახილი უფრო ახლო ისმის).

გ ა მ რ ს ვ ლ ა II.

იგინივე თამრო და ანიკო.

თამრო. (შეაზრდება სოსოს). სოსო! სოსიკო!..

სოსო. თამრო!..

თამრო. ძლივს გიპოვეთ. სოსო! ღმერთო ჩემო, რა შიში ვკამეთ: გვეგონა, თუ ველარ გნახავთ. მაღლობა ღმერთს (შემოდის ანიკო). ანიკო, შეხედე—აქ არიან.

ანიკო. აჰ, ძლივს!..

თამრო. (ანიკოს); აკი გითხარი, ესენი იქნებოდნენ მეთქი... (სოსოს). გავიგეთ თუ არა, რომ წასულხართ, მაშინვე დაეფაცურდით.

ანიკო. (უჩვენებს კარებს). აგერ, გაიხედეთ: მამა და დედაც მოდიან!..

თამრო. სულ კვალ და კვალ მოგდევდით... გზა და გზა ყველას ვეკითხებოდით. კიდევ კარგი, რომ ბევრს შეუმჩნევიხართ... ღმერთო ჩემო, როგორ მიხარია! აკი გეუბნებოდი, ანიკო, რომ ის მაწანწალა მართალს ამბობს მეთქი!

სოსო. ვინა?

თამრო. აქ ახლოს შემოგვხვდა ვილაც მათხოვარა და ვკითხეთ, ორი ყმაწვილი ხომ არ დაგინახავთ თქო. იმან მოგვიგო, —ამერიკელიო? მე მაშინვე მიხვდი,



რომ ეს ამერიკელნი სწორედ თქვენა (კარგია, რა კარგი, რომ გნახეთ!.. მამილო, მამილო, დედი! აქეთ, აქეთ! აქ არიან აქ!

სოსო. თამრო!

თამრო. რა იყო, სოსიკო?

სოსო. იცი—ვინ იყო ის მათხოვარა?

თამრო. ვინ იყო?

სოსო. ექსპოპრიატორი... სულ წაგვართვა ყველაფერი, რაც-კი გვქონდა.

თამრო და ანიკო. უიმე! ღმერთო, ღმერთო! (ჩამწყვდევებულადგანან და სტირინან. უსიტყუო სცენა.)

გ. ლ—ძე
(ფ ა რ ა ა.)





გადავარჩინოთ

კველი ნაუთუბი!



ღამიანი მაშინ უფრო აფასებს თავის ეროვნებას, როდესაც დარწმუნებულია, რომ ადამიანთა ცოდნის საგანძურში ამ ერმაც უკვე შეიტანა თავისი წვლილი და ახ-

ლაც, სხვა ერებთან ერთად, საერთო საკაცობრიო მუშაობას ეწევა. ასეთი რწმენისათვის-კი საჭიროა შესწავლა და გათვალისწინება ერის ცხოვრებისა და მუშაობისა უძველეს დროიდან აქამომდე, რადგანაც მხოლოდ ასეთი შესწავლა განუმტკიცებს ადამიანს რწმენას, რომ ამა თუ იმ ერის მუშაობის ნაყოფი კაცობრიობისათვის საჭირო და სასარგებლოა.

ყოველ განათლებულ ერს ეს ძალიან კარგად ესმის და ყოველი მისი წევრი სამშობლო მხარეს შესწავლას ხელს უწყობს. იქ ბავშვებს პატარაობიდანვე უნერგავენ ისეთ აზრებს,




რომ ისინიც გაუფრთხილდნენ ყველაფერს, რასაც უნდა შეეცადებინათ შირი აქვს სამშობლო ერის სულიერ ცხოვრებასთან.

ასეა სხვა ქვეყნებში, და ჩვენში-კი, სამწუხაროდ, სხვას ეხედავთ. ჩვენში დიდებიც-კი, და რასაკვირველია—ბავშვებიც უნებურად ხშირად აფუჭებენ და ანადგურებენ ისეთ რამეებს, რასაც შეუძლია საქართველოს წარსული გააშუქოს და დაგვანახოს. მათთვის ხომ არავის უთქვამს, რომ ხშირად თითქოს სრულიად უმნიშვნელო და უბრალო საგანს შეუძლია ერის ისტორიის შესწავლის საქმეს დიდი სარგებლობა მოუტანოს. საქართველოს არე-მარე მრავლად არის მოფენილი ყოველგვარი ძველი ნაშთებით. იშვიათია ისეთი სოფელი, საცა ან თვით სოფელში, ან მის გარშემო არ მოიპოვებოდეს ნანგრევები ციხისა, ეკლესიისა, კოშკებისა და სხვა. ალაგ-ალაგ ისინი უკვე დანგრეულან, ზოგჯერ-კი კარგად შენახულან და ამ შენობებით ახლაც სარგებლობენ. ყოველ ასეთ ნანგრევში ან შენობაში მოიპოვება ბევრი რამ, რაც ახლაგაზღობას სათამაშოდ იზიდავს. 7—18 წლამდე უმაწვილებს ასეთი ალაგი საუკეთესო სათამაშო ალაგად მიაჩნიათ, რადგან ყველაზე უკეთესად აქ შეიძლება ჩარახმულ მხარეებს შორის ფიცხელ ომის გამართვა. საღ შეიძლება უკეთესი ჩასასაფრებელი ალაგის პოვნა, რომ მოულოდნელ თავდასხმით მტერი უკუ-აქციონ და კედლების დანგრევით ქვების რახა-რუბითოფ-ზარბაზანთა ჭექა-ქუხილად წარმოიდგინონ. ციხის ახლოსვე ხომ ისე მშვენიერად ისმის გამოძახილი, თითქოს ციხეში ვინმე იმალებაო, რაც ბავშვებში ხშირად კამათსაც კი იწვევს. თუ ნანგრევი ეკლესიის ეკუთვნის, ყოველივე ამის გარდა შეიძლება მხატვრულ გემოვნების დაკმაყოფილება. შეიძლება კედლებზე გამოყვანილ სურათებს ნახშირის საშუალებით მოკლე უღვაშები დაუგდელდეს ან პირ-იქით—წაეშალოს, უცნაური და ჩვენი დროისათვის უნახავი ტანსაცმელები უფრო ლამაზ ტანსაცმელად გადაკეთდეს და ზედ ნაწერ



ძველ გაუგებარ წარწერებს ახალი ნაწერებიც მიემატება. მიწაში ხშირად მოიპოვება ლამაზი და ბეჭერილია ნამტვრევები, რომლებიც, როცა შორს გადაადგებით, მზეზე ლამაზად ლაპლაპებენ. და აი სწორედ ამ თამაშობის დროს ინგრევა და ფუჭდება საყურადღებო ქართულ ძველი შენობების, მხატვრობისა და ცოდნა-ხელოვნების სხვა დარგთა ნაშთები.

ნახშირით აქრელებული და ლურსმნებით თვალ-დათხრილი სურათები თავის მნიშვნელობას ჰკარგავენ; წარწერები სრულიად იშლებიან და ჰქრებიან. ზევიდან გადმოცვივნილი ჩუქურთმებიანი ქვები მიწაში იფლობიან და, თუ სამუდამოდ



არა, დიდი ხნით შაინც მკვლევართათვის იკარგებიან. აღამიანთა დაუდევრობა ხელს უწყობს ბუნებას და ქართული შრომითა და ოფლით მოპოებული ნაყოფი, ბუნების გავლენას გადარჩენილი, ქართველისავე ხელით ისპობა.

ის, რაც დღემდის არსებობს, მალე განადგურდება, თუ



ამის წინააღმდეგ ახლავე ზომები არ იქნა მიღებული. ამისათვის თვის-კი საჭიროა ცოდნა—სად და როგორი ნაშთი არსებობს. ხშირად რაიმე მიზეზების გამო, უმეტეს შემთხვევაში-კი უსაღსრობის გამო, შეუძლებელი ხდება ნაშთის გადარჩენა; ამ შემთხვევაში საჭიროა ნაშთი აიწეროს მაინც და დავიწყებას ამით გადაარჩეს.

და აი ამ უკანასკნელი საკითხის გადაწყვეტაში ყველას შეუძლია მონაწილეობის მიღება. საქართველოს სიძველენი ჯერ-ჯერობით, უმეტეს შემთხვევაში, ხეირიანად აწერილი არ არის. ის ნაშთები-კი, რომლებიც ცოტად თუ ბევრად კარგ გზებს დაშორებულია, თითქმის არასოდეს არ აღწერილიან და მკვლევარმა არც-კი იცის, რომ ამა თუ იმ ალაგას რაიმე ნაშთი არსებობს. რამდენჯერმე განუზრახავთ მთელი საქართველოს დავლა და აღწერა, მაგრამ სხვა-და-სხვა პირობების გამო, უმთავრესად-კი ამ ასპარეზზე მომუშავე პირთა სიმცირის გამო, საქართველოს უდიდესი ნაწილი ჯერაც აღწერილია.

არ მოხერხდება ეს საქმე არც ახლა და არც ახლო მომავალშიაც, თუ წინანდებურად მონაწილეობას მხოლოდ ორი სამი კაცი მიიღებს და დანარჩენები-კი მაყურებლებად დარჩებიან. საჭიროა ყველამ დაუჭიროს მათ მხარი და ხელი შეუწყოს. რასაკვირველია—ყველას არ მოეთხოვება ზედმიწევნით აწერა და შესწავლა სხვა-და-სხვა ნაშთებისა, მაგრამ დიდი დახმარება იქნება საერთო საქმისათვის იმის გამოარკვევაც, რომ ამა თუ იმ ალაგას ამა და ამ სახის ნაშთი მოიპოვება.

დიდი დახმარება შეუძლიათ მოუტანონ ამ საქმეს ჟურნალ „ნაკადული“-ს მკითხველებმაც. ნაკადული ახლა მისდის საქართველოს 134 დაბა-სოფელ-ქალაქის მცხოვრებთ. კარგი იქნებოდა, რომ ჩვენი მკითხველები ცნობებს მოგვაწვდიდნენ და შემდეგ კითხვებზე გვიპასუხებდნენ:

1) რომელი სოფლიდან ან დაბიდან არის პასუხი; 2) არსებობს თუ არა სოფლის მახლობლად რაიმე ნაშთი; 3) თუ

ახსებობს—სად (თვით სოფელში, მის ახლოს, მთაზე, ხეებში, წყლის პირას, ტყეში, თუ...) 3) რას წარმოადგენს შთი (ეკლესია, ციხე, კოშკი, ნანგრევი, რომლის მნიშვნელობა ძნელი გამოსარკვევია, თუ...) 4) კარგად შენახულია, ინგრევა თუ დანგრეულია? 5) არის თუ არა ხალხში მის შესახებ რაიმე თქმულება? (თუ არის—რა თქმულებაა). 6) რომელი საუკუნისაა (თუ დრო ძნელი გამოსარკვევია, ხალხის გადმოცემა მაინც რას ამბობს ამის შესახებ;) 7) არის კედლებზე რაიმე წარწერა თუ არა? (თუ წარწერაა—ხუცურად თუ შხედრულად;) 8) არის თუ არა რაიმე მხატვრობა? კარგად არის შენახული თუ არა? 9) უფროთხილდებიან მას მცხოვრებლები, თუ არა? (ქვას ხომ არ ეზიდებიან, საქონელს ხომ არ ამწყვდევენ, სურათებს ხომ არ აფუჭებენ, კედლებზე ხომ არას აწერენ?) 10) არის აწერილი ნაშთი ვინმეს მიერ, თუ არა?

საზოგადოდ ყველაფერი გვაცნობონ, რაც იციან მკითხველებმა ამა თუ იმ ნაშთის შესახებ.

ამას გარდა ბევრ ოჯახში მოიპოება ძველი ხელნაწერები, წიგნები და საბუთები. დროთა ვითარებამ ასეთი საბუთები ბლომად გაანადგურა და ახლაც ბევრი იკარგება. კარგი იქნებოდა, რომ, თუ ოჯახი ამ საბუთების დედანს ვერ გაიმეტებს, მათ პირს მაინც გამოგზავნიდნენ; თუ წიგნი ან საბუთი დიდია, მაშინ შემდეგ ცნობებს მოგვაწვდიდნენ: 1) რას წარმოადგენს ხელნაწერი? (წიგნი, საბუთი, დახვეულია (გრაგნილი), თუ ფურცლებზეა) 2) რომელი საუკუნისაა, ან რომელი მეფის დროს დაწერილია; 3) ბევრია, თუ ერთი ან ორი ცალი; 4) ვის ეკუთვნის?

ყველა ეს ცნობები გარჩეული იქნება რედაქციის მიერ, ან გადაეცემა ერთ-ერთ სამეცნიერო წრეს. მკვლევარს საშუალება მიეცემა გაიგოს—სად და რისი ნახვა შეიძლება. თვითთელი ამწერი-კი სამშობლოს შესწავლაში თავის წვლილს შეიტანს და საქმესაც ხელს შეუწყობს.

პასუხი უნდა გამოიგზავნოს თბილისში, „ნაკადულის“ რედაქციაში.

ი. ანთაძე.



ბროლის ომი.

აიანტის თვითმკვლელობა.



ლევა-მოსილი აქილევსის დასაფლავების შემდეგ ელლინთა საუკეთესო გმირთა შორის ჩამოვარდა დევა იმის შესახებ, თუ ვის დაუსაკუთრებდნენ ჰეფესტოსის მიერ ხელოვნურად შექმდილ იმ იარაღს, რომლითაც გმირთა-გმირი აქილევსა მოსისხლე მტერს მუსრს ავლებდა. ფეტიდა ქალ-ღმერთამ მოისურვა თავისი შვილის იარაღი საკუთრებად მიეძღვნა ელლინთა იმ გმირისათვის, რომელიც აქილევსს მეგობრულ სამსახურს უწევდა და იმავ დროს მხედრობაში საუკეთესო და მამაც გმირად ითვლებოდა.

ოდისევსი და აიანტი მართლაც აქილევსის შემდეგ საუკეთესო გმირებად იყვნენ მიჩნეულნი: პირველი თავისი გონება-მახვილობით, მეორე-კი ძლიერებით და სიჰამაკით. ორივენი აქილევსის საუკეთესო მეგობრებად ითვლებოდნენ, რაიცა არა ერთხელ დაუმტკიცებიათ მტერთან ბძროლის დროს. ამიტომ თვითოველი ამ გმირთაგანი დაიმედებული იყო, რომ ძლევა-მოსილი აქილევსის ხელოვნურად შექმდილ იარაღს

მას დაუსაკუთრებდნენ. ამ იმედს არც ერთი არ ჰქარავდა და მოუთმენლად მოელოდა საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტას. ყველანი ღრმად დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ამ სამძიმო საკითხის ასე თუ ისე გადაწყვეტა დიდ უკმაყოფილებას დაბადებდა ელლინთა ორ საუკეთესო გმირთა შორის. ტკბილად მოუბარი მოხუცი ნესტორის რჩევით შესდგა საგანგებო კრებული, რომელსაც დაევალა საბოლოოდ გადაწყვეტა ეს სამძიმო საკითხი. კრებულმა დიდი ბჭობისა და თათბირის შემდეგ მთავარ-სარდლის აგამემნონის ზეგავლენით აქილევისს ბრწყინვალე იარაღი ოდისევსის საკუთრებად აღიარა.

კრებულის ასეთი განაჩენი ელლინთა მხედრობის მთავარ-სარდალმა საჯაროდ გამოაცხადა. ცბიერი ოდისევსის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ელლინთა მხედრობის ცბიერი გმირი მხურვალედ ჰკოცნიდა აქილევისს ზელოვნურად შექედილ იარაღს და თვალთაგან სიხარულის ცრემლებს უხვად აფრქვევდა.

აიანტი-კი კრებულის ასეთი გადაწყვეტილებით მეტად შეურაცხყოფილად სთვლიდა თავის თავს. ელლინთა მხედრობის საუკეთესო გმირი ღრმად დარწმუნებული იყო, რომ კრებულმა უსამართლობისაყენ გადახარა მართლ-მსაჯულების სასწორი ატრიდების გავლენით.

ამიტომ აიანტმა გადაწყვიტა თავისი მოქაშვე ოდისევსის და მათა ატრიდების მოკვლა. მძიმედ შეიარაღებული აიანტი გააფთრებულ ლომივით მიიჭრა ატრიდების სამხედრო კარებთან იმ აზრით, რომ სისრულეში მოეყვანა თავისი გადაწყვეტილება, მაგრამ ათინა ქალღმერთამ გონება დაუბნელა მხეცივით გაშმაგებულ ელლინთა გმირს. ძლევა-მოსილმა აიანტმა სრულიად გონება დაჰკარგა და იმის მაგივრად, რომ ატრიდები სიკოცხლეს გამოესალმებინა, შეშლილივით ზღვის ნაპირებისაკენ გაემართა, საცა მწყემსები ცხვრის

ფარას და ნახირს ამოვებდნენ. გონება-შერყეული აიანტი ხმლით ხელში დაერია ცხვრის ფარას და ნახირს, უამრავი ცხვარი და ძროხა, სიციცხლეს გამოასაღმა არა ერთი და ორი საუკეთესო და საქმისათვის თავდადებული მწყემსი. ელლინთა გმირთა-გმირი ღრმად დარწმუნებული იყო, რომ იგი აგამემნონის და მენელაოსის მხედრობას ებრძოდა და მის საქვეყნოდ შემარცხვენელ მტრების წინააღმდეგ — სამკვდრო-საციციცხლო ომს ეწეოდა.

დიდი ბრძოლის და დარბევის შემდეგ აიანტი გამორეკა თავის სამხედრო კარავისაკენ უამრავი ცხვარი, ძროხა და ხარი. აიანტი გაშმაგებული მხეცივით დაერია სამხედრო კარავის გარშემო მომწყვდევულ ცხვრის ფარასა და ნახირს და შეუბრალებლად ელეტა დაუწყო. აიანტი ღრმად დარწმუნებული იყო, რომ იგი ამ ფამად სიციცხლეს უსპობდა მის ღრმად შეურაცხყოფელ ატრიდებს.

ელლინთა გმირთა-გმირს როცა ცოტათი გონება დაუბრუნდა და თავის სამხედრო კარვის გარშემო შეამჩნია დახოცილ ცხვრების, ძროხების და ხარების მთელი გროვა, სასოწარკვეთილებით თავში საზარლად ხელები შემოიკრა და მწარედ ჭვითინი მორთო. დიდხანს და დიდხანს საბრალოდ ჭვითინებდა ელლინთა დიდებული გმირთა-გმირი და მწარე საგონებელს ეძლეოდა.

ბოლოს ღრმად დაღონებული აიანტი მიუბრუნდა თავის საყვარელ მეუღლეს და ესე შეეკითხა: „ძვირფასო და საყვარელო თექმესსა! გებვეწები და ცრემლ-მორეული გემუდარები, გაფიცებ ყოვლად შემძლებელ ღმერთებს, გაფიცებ ერთად ერთს ჩვენს პირშუო ჰევრისაქსს, ნურას დამიმაღავ. დაუფარავად მითხარი ყველაფერი, რას მოასწავებს ეს უამრავად დახოცილი ცხვრის ფარა და ნახირი! ვინ ჩაიღინა ეს საზარელი და სამარცხვინო ამბავი!..“

თექმესსამ ყველაფერი სისწორით უამბო ელლინთა დი-



დებულ გმირთა-გმირს. აიანტის მწუხარებას ამ საზარატის მშენებლის გაგონებაზე საზღვარი არა ჰქონდა. დიდებული გმირთა-გმირი სირცხვილით იწოდა და თავის უსაზღვროდ მწუხარე გულში ასე ჰფიქრობდა: „ყოვლად-შემძლებელნო ღმერთებო! ვის რა დაუშავე; ვის რა შევეცოდე; რომ ასეთი უშვავსი საქციელი ჩამადენინეთ! სირცხვილი, სირცხვილი და კიდევ სირცხვილი! განა შესაძლებელია კაცმა მოითმინოს ის დამცირება, ის შეურაცხყოფა, რომელიც ატრიდების წყალობით მე წილად მხედა! აქილევსის ხელოვნურად შექმნილი იარაღი, საცა სამართალია, ჩემთვის უნდა ერგუნებინათ! ელლინთა მთელი მხედრობის აზრით—აქილევსის შემდეგ უმამაცეს გმირად მე ვიყავი მიჩნეული. დღეს-კი, როცა დიდებული გმირის იარაღი ცბიერებით სახელ-განთქმულ ოდისევს არგუნეს, მთელ მხედრობაში სახელი გამოიტყვეს! დიად! ეს სირცხვილი, ეს შეურაცხყოფა დაუშნაბურებლად თავს მომახვიეს იმ განზრახვით, რომ სახელი გამოიტყვონ, მიწასთან გამასწორონ! როგორი თვალთ უნდა შემომხედოს ამის შემდეგ ელლინთა დიდებულმა მხედრობამ. კრებულის უსამართლო გადაწყვეტილებით მე ხომ სამუდამოდ დავმცირდი ყველას თვალში! შეუბრალებელმა ბედისწერამ ესეც არ მაკმარა. მთელი ელლინთა მხედრობა და წარჩინებული სარდლები ამ ქამადსხვა ჩემ დამცირებასთან ერთად გაიგებენ, რომ დიდებული აიანტი კკუაზე შესცდა, გონება დაკარგა და უდანაშაულო მწყემსები სიცოცხლეს გამოასაღმა, უამრავი ცხვრის ფარა და ნახირი ამოკლიტაო! ჩემი პატიოსნების, ჩემი ოდესლაც დიდებული სახელის აღდგენა შესაძლოა მხოლოდ ერთად-ერთი სიკვდილით. დიად! ერთად-ერთი საშუალება ჩემი პატიოსნების, ჩემი სახელის აღსადგენად მარტოოდენ სიკვდილია! სიკვდილი, სიკვდილი—აი ერთად-ერთი გზა, რომელიც მცირედათ მაინც აღამაღლებს ჩემ უმართებულოდ შეურაცხყოფილ სახელს!*



აიანტს საბოლოოდ გადაწყვეტილი ჰქონდა ვაფრანგულ
ზრახვა სისრულეში მოეყვანა, მაგრამ შინაურებს კიდევ
ბელ მეგობრებს ექვი რომ არ აეღოთ, ყველას ისე ეჩვენებო-
და—თითქო ბედს შეურიგდაო. აიანტი თვალთმაქცურად კი-
დევაკ გამზიარულდა. ყველანი დამშვიდდნენ, არავის ფიქრად
არ მოსდიოდა, რომ გვირთა-გვირთი ცუდს რასმე ჩაიდნდა.
ელლინთა საუკეთესო გვირთა-გვირთა ისარგებლა შინაურების
და მეგობრების ესეთი განწყობილებით და ზღვის ნაპირას
წასვლა მოიმიზეზა, თითქო იმ აზრით, რომ განრისხებული
ღმერთები დაემშვიდებინა, ყოველი თავისი შეკოდება მოე-
ნანიებინა.

აიანტი მართლაც მივიდა ზღვის ნაპირას, აარჩია მეტად
მყუდრო ადგილი და ღრმად ჩაარქო მიწაში ჰექტორის მიერ
ნაჩუქარი ბასრი მახვილი. ელლინთა გვირთა-გვირთი უშიშრად
დადგა ბასრი მახვილის წინაშე და ესე შეევედრა უკვდავ
ღმერთებს: „ყოვლად შემძლებლო, ცისა და დედამიწის
მფლობელო ზევსო! მზურვალედ გვედრები ამისრულო ეს ჩე-
მი უკანასკნელი თხოვნა: დეე, როცა ეს ბასრი მახვილი
გულს გამოვიმრავს, ჩემი უსულო გვამი პირველად იხილოს
ჩემმა ძმამ თევკრმა და შესაფერის დიდებით და პატივისცემით
დაასაფლავოს! მალალო და დიდებულო ღმერთების მამათ-
მთავარო, გემუდარები—ჩემი უსულო გვამი მტერს საგინებ-
ლად და სათრეველად არ დარჩეს! გვედრები და გემუდარები
შენც, დიდებულო ჰერმეს, მკედრების სულების გზის მაჩვენ-
ებლო, დამებმარე, ნუ დამტანჯავ, დამიჩქარე სიკვდილი,
როცა ეს ბასრი მახვილი ჩემ სხეულს გაგვირავს! მოგიწო-
დებო თქვენც, ერინიებო, და გულმოდგინეთ შეგთხოვთ სა-
მაგიერო გადაუხადოთ ატრიდებს, რომელთაც მე ასე დაუშა-
ხურებლად შეურატყყოფა მომაყენეს! ცისა და ქვეყნის დი-
დებულო მნათობო ჰელიოს! შენც გულმოდგინედ და მზურ-
ვალედ გვედრები! როცა შენი ბრწყინვალე სხივი მოცუინოს



ჩემ სამშობლო მხარეს, შეიჩერე შენი ოქროს სვეტიცხოველი ფეხმალი ცხენები და ამცნე ჩემ მოხუც მამას და მოხუც დედას ჩემი მწუხარებისა და სიკვდილის ამბავი. როგორ დიტანჯებიან საბრალო მოხუცებულები, როცა თავისი საყვარელი შვილის ესეთ უბედურებას გაიგებენ! მშვიდობით, ჩემო საყვარელო მშობლებო! მშვიდობით, ჩემო ძვირფასო სამშობლო მხარევ! მშვიდობით, მშვიდობით! უკანასკნელ სასალამს გიძღვნი!" ამ სიტყვებთან ერთად ელლინთა დიდებული გმირი უშიშრად ჩამოეგო იქვე მიწაში ღრმად ჩარქობილ ბასრ მახვილს და სამუდამოდ გამოეხალმა სიცოცხლეს.

დიდებული გმირის მოულოდნელმა სიკვდილმა განუსაზღვრელი მწუხარება გამოიწვია მის შინაურებისა და გულითად მეგობრებ შორის. ყველანი თავს დასტიროდნენ აიანტის უსულო გვამს, ყველანი მღულარე კრემლებს აფრქვევდნენ.

მეგობრებისა და მახლობლების მაცადინებობით ბრწყინვალედ და შესაფერის პატივისცემით დაასაფლავეს აქილევის საფლავის მახლობლად ელლინთა მხედრობის დიდებული გმირი, სწორედ ის გმირი, რომელმაც სიკვდილით განიზრახა აღედგინა თავისი შეურაცხყოფილი სახელი და დიდება.

აიანტის საფლავზე მეგობრებმა აღმართეს მაღალი ბეჭობი, რომელიც მედიდურად თავს დასცქერის ჰელლესპონტის ნაპირებს და ყველა გამფლელ-გამომფლელს ამცნევს დიდებული გმირის საგმირო საქმეებს.

სამუც მიმდგომს და მიმდგომს უმცლმცა. მიქაბერიძე.





საქართველოს
წიგნწერის
კავშირისთვის

რ ე ბ უ ს ი



ერთი წმიდა ათ
კამეტ მამათა-
განი.



ე



”



მ



”

ი მ

თმის |
საღებავი.




100%

ქართველი
შეცნიერი.



ო




მე-3 №-ში მოთავსებულ შარადგების და რეზუსის აღსნა.

- 1) შარადგების: 1—კალამი. 2—დავთარი. 3—შარვალი.
- 2) რეზუსის: მიეც საჭურჭლე გლაზაკთა; ათაეისუფლე შონები.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე. გამომც. თ. პ. ი. თუმანიშვილი.

წერალ-კითხვის სასოკადოების წიგნის მალასიანის შედგენის
შემდეგი წიგნები:

- 1) ტომის თავგადასავალი, — თხ. მარკ ტვენისა, თარგმ. გრ. ყიფშიძისა, ფასი 50 კ.
- 2) რას გვცია მობს ოთახი, — თხ. ავენარიუსისა, თარგმ. გ. ჯაფარიძისა, ფასი 20 კ.
- 3) დასურათებული ახაწყობი ანბანი, — ფასი 1 მ. 20 კ.
- 4) ხერხედი და მარლედი, — საშობაო მოთხრობა, ჩარლზ დიკენსისა, თარგმანი ნინო ნაკაშიძისა, ფასი 25 კ.
- 5) დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები პ. ქ. ანდერსენისა, ერ. სეტ. ტომპსონისა, გ. ინსაინისა და რ. კიპლინგისა, ფასი 30 კ.
- 6) ბავშვობა და სიყრმე, — მოთხრობა ლევ ტოლსტოისა, თარგმ. ნინო ნაკაშიძისა, ფასი 60 კ.
- 7) ორი მხატვარი, — თარგმანი დ. ავალიანისა, ფასი 15 კ.
- 8) ~~სამშობლო ბუნების სარკე, დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები, ივანე ელიაშვილისა, ფასი 30 კ.~~
- 9) შობა, მოთხრობა გურიის ცხოვრებიდან, — ნინო ნაკაშიძისა, ფასი 5 კ.
- 10) ახალგაზრდა მეფის სიზმარი და დევი — ეგოისტი, ორი მოთხრობა ოსკარ უაილდისა, თარგმ. ივ. მაჭავარიანისა, ფასი 5 კ.
- 11) დათო, — ირ. ევდოშვილისა, დიდების მადიებელი, თარგმ. ალ. შანშიაშვილისა, ფასი 5 კ.
- 12) მოთხრობები, — ლაგერლედისა და სხვა უცხო მწერლებისა 5 კ.
- 13) ივანე-არაკნი, — 125 დასურათებული, პატარა მოთხრობა, ავტორის სურათით, ალ. მირიანაშვილისა, ფასი 75 კ.
- 14) ბიძია თომას ქოხი, — რომანი ბიჩერ-სტოუსი ზანგთა განთავისუფლების დროისა, სურათებითა და ბიოგრაფიით, თარგმანი მ. კლიშიაშვილისა 1 მ. 25 კ.



1914 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ ნაკადულის

„ნაკადული“-ზე

— წელიწადი მათი —

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით;

წლიურ ხელის მომწერლებს მიეყიმათ:

24 წიგნი „ნაკადულისა“ მკირე წლოვანთათვის. **12** წიგნი „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

36 სურათს ნაკადულის I-ლ გვერდზე.

საჩუქრად 1914 წ. ორივე გამოცემის წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემა წიგნი „მიწის ძვრა და ცეცხლის მფრქვეველი მთები“ (მრავალი სურათებით) გიორგი ანთელიძისა.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მ. ნახევარ წლით—3 მან., ცალკე-ცალკე მკირე წლოვანთათვის

24 წიგნი—3 მან., მოზრდილთათვის **12** წიგნი—3 მან.

ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

სახლვარ გარედაქციით: ერთი წლით 7 მ. ნახევარი წლით 4 მ.

ესთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და აღრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ.

ხელის მოწერა შეიძლება

ტფილისში — „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, ვოლოვინის პროსპ. № 8. Редакция „Накадули“, Головинский пр. № 8, შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებების წიგნის მაღაზიაში, სსსახლის ქუჩა. ქუთაისში — ისიდორე კვიციანიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. სამტრედიისში — ვლ. ნაცვალაძესთან. — შთთში — თეოფილე კანდელაკთან. ბათუმში — კნ. სოფიო ნაცვანიძესთან, ტროფიმ ინსარიძესთან ფოსტაში, და ანასტასია ლომინაძესთან. ოზურგეთში & ლანჩხუთში — ლეო იმნაძესთან. თელავში — ვასო პაატაშვილთან. ახალციხეში — კონსტანტინე გვარამაძესთან. ბაქოში — ვასილ ახვლედიანთან, ნინო გელაშვილთან და ივანე ელიაშვილთან. გორში — ნინო ლომოურთან და ქეთევან ჯავახიშვილთან. სტუმში — კნ. მარიამ ანჩაბაძესთან. კიათურაში — ივანე გომელაურთან. განჯაში — ბ. ამბოქაძესთან. ერევანში — კ. ოდიშარიანთან. სიღნაღში — ნ. ახმეტელაშვილთან. ყარსში — ივ. საათაშვილთან. ალექსანდროპოლში — ს. შატბერაშვილთან. ნახიჩევანში — სამსონ მარჯანიშვილთან. ხონში — მ. ი. ჰავეკანიძესთან. რაჭაში. — მასწავლებ. ილია გოგიასთან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე.

გამომცემელი თავ. პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.